



ერსენალი



№14 (161). 6-19 ივლისი, 2012 წ. სპეცდრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 2 ლარი

სპეციალური
პოლიტიკოსების
სალიკვიდასიოდ

გომგორიდან ნაღობების
რეკონსტრუქციის თეორიის,
ბაღდადი და ანკარა უნდა
განაღებდნენ

თურქეთი NATO-სთან
სირიის სის დახურვას
მოითხოვს




გაიშინებს საზღვარ დანახვი ქართულად
რედაქციის დროულად დაეფიქსირა, მგზავნი...



გიუნავიის
არაბია

37



სირიის
საომალაქო
ომი და
კავასია

9



ირანის
ავიამრეწველობა

45



ჯაჟანგანქანები
სამხრეთ
კავასიისუი

34



აგრიკა-
მესიის
ომი

24

რუსული
სტრიჟ-ი
ავსტრიულ
გლოკ-სა
ჯოგიაო(?)



53



სარჩევი

- 4** **სახმადრო სიხლუაბი** **კალენიოსი**
- 7** **თურქეთი NATO-სთან სირიის ტის დახმავან მოითხოვს** **ოჩოხი**
- 9** **სირიის სამოქალაქო ომი და კავკასია** **სამხრეთი**
- 12** **კვანსი კი სამართლებრივ მოთხოვნები განაყოფი?** **იურიდიული**
- 14** **გაიხიოს დანახი ქართულად რადიო** **ოჩოხი**
- 18** **სამხრეთი ავღიჯიჯიკის საინფორმაციო** **სამხრეთი**
- 20** **კავკასიური მოვლენების მოხილვა** **რეგიონი**
- 22** **ინფორმაციის 1962 წლის სახმადრო მოვლენები** **ლოკალიზაცია**
- 24** **ამერიკა-მექსიკის ომი — თურქული მხარე** **კონფლიქტი**
- 30** **500 ფაქტი მოხმადროს ინფორმაცი** **მოხმადრო**
- 34** **სომხური „აიმი“, ქართული „ლიგორი“ და აზერბაიჯანული „უხმადრო“** **კავკასიური**
- 37** **გომხმადროს არხი** **ინფორმაცი**
- 40** **თურქული** **100 დიდი ინფორმაცი**
- 42** **პარაშუტები — გომხმადროს დანახი** **ინფორმაცი**
- 45** **ირანის ავიაგომხმადრო** **სამხმადრო**
- 48** **გომხმადროს ნაინფორმაცი რამხმადროს თურქი, ბაღდადი და ანკარა უნდა განახმადრო** **სამხმადრო**
- 53** **რუსული Стриж-ი ავიაგომხმადრო Gloc-ს მოხმადრო?** **„ავიჯიჯი“ ინფორმაცი**

კვლევითი

ცხელ ზაფხულს შეიარაღებული დაპირისპირების ცხელი დღეები შეიძლება მოჰყვეს. შედარებით მინელად დაპირისპირება აზერბაიჯანი-სომხეთის ფრონტის ხაზზე, მეორე პლანზე გადანაცვლა შექარამ ირანის ატომურ პროგრამასთან დაკავშირებით, მაგრამ სამხმადრო უკიდურესად გამწვავდა სირიის საკითხი, — სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომის პარალელურად, ომის დაწყების ზღვრებზე ეს ქვეყანა და მუხომელი თურქეთი დადგენს. თურქეთი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრია და მასთან ომი NATO-სთან ომს ნიშნავს, რაც შეიძლება კიდევაც გახდეს მიხეზა სირიის ზღვრულულების სამხმადრო ძალით ჩამოღების საერთაშორისო ობერაციის დაწყებისა, რაც უკვე მოხდა ლიბიაში.

მოთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადგავილი
პასუხისმგებელი რედაქტორი
თიმურ ჩანანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მუსიაშვილი

შურადღვას!
გამოფრემი „არსენალი“
და მიიღეთ შიხ,
ორ კვირაში მრთხმელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73

რამდენიხს დავითიხსავდ
მასხმადროს განახმადრო
პროკატორი

გადმომულიხს დანახმადრო
30.06.2012

გაზომი „კვირის კალიტრის“
დამატება ©
რამდენიხს მისამართი:
თბილისი, იოსხმადროს ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარმკლავო გომხმადრო:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenal@kvispalitra.com
შურადღვას გამოდის
ორ კვირაში მრთხმელ
პარანახმადრო

ფრანგული რობოტ-პროექტორის პულოვალისთვის 100 კგ გვირგვინი არ არის



პარიზში გამართულ საერთაშორისო სამხედრო-სამრეწველო პროდუქციის გამოფენა Eurosatory 2012-ზე ფრანგებმა წარმოადგინეს უნიკალური რობოტ-გეგმარების, რომელიც საომარ მოქმედებებში მებრძოლთა ფიზიკურ შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად გაზრდის.

რობოტი Hercule აღმზიანს მძიმე ტვირთის გადატანაში დაუხმარებს. ამ ელექტრო-მოწვობილობის გამოყენებით 100 კგ-ის დაძლევის ათლეტური მონაცემები არ სჭირდება, მისი შემეგობით 40 კგ ტვირთის 4 სი ტარება თვით ვეღაზე სუსტი ადნაგობის ჯარისკაცისთვისაც მწელი არ იქნება. მოდელს ორი მუქანიკური ფეხი და გადასატანი კონსტრუქცია აქვს. მძიმავალში ფრანგი ინჟინრები ეგზოჩინისთვის ორი „ხელის“ დამატებასაც აპირებენ.

საინტერესოა, რომ რობოტს მართვა არ სჭირდება, თავად „განზობს“ ადამიანის სხეულის მოძრაობას და მასთან სრულ შესაბამისობაში შემოსავს.

ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ სხვა მსგავსი კონცეფციის რობოტ-გეგმარებისგან განსხვავებით ფრანგული გამოგონება მაღალი მახასიათებლებითა და მინიმალური გაბარიტებით გამოირჩევა. ამ მოდელის მიახლოებითი სადღეისო ფასი 30 ათასი ევროა.

აერიკალი სამხედროები სვულენგი-გამოგონებლის „ზუკანთა“ აღაზროვნა

აერიკალი სამხედროები სტუდენტ-გამომგონებელთა ჯგუფის მიერ შექმნილი „ზურგანთა-მტკვრ-სასრუტი“ დაინტერესდნენ და მზად არიან პროექტის განვითარებაში 100 ათასი დოლარი ჩაღონ. სასწაულებრივი ზურგანთა სტუდენტებმა შექმნეს აშშ-ის სამხედრო-საპაერო ძალების მიერ გამოცხადებული კონკურსისთვის, რომლის თანახმადაც გამოგონებლებს 27 სიმაღლის კედელზე სპეციალური კაპების გარეშე ცოცხისთვის შექმნილ უნდა წარმოედგინათ. ამასთან, კონსტრუქცია ცხრა კგ-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო.

ერთი სიტყვით, ამოცანა რთული იყო: სწორი ზედაპირის მქონე კედელზე, თანაც კაუჭების გარეშე სწრაფად აძომას ხომ „სპაიდერმენმა“ სჭირდება, თუმცა, სტუდენტებმა მარტვ გამოსავლის მაინც მიაგნეს. მათი შექმნილი მოწვობილობა — Vacuum Assisted Climber-ი წარმოდგენილია ვაკუუმური ძრავით, რომელსაც ორი შემწვოი ფირფიტა მოქმედებაში მოკავს. ეს უკანასკნელნი კი წვევის ძალით ნებისმიერ ზედაპირს — შეშას, აგურსა თუ ბეტონს ეკვრებიან. ფირფიტები 225-იდან 315 კგ-მდე ტვირთს აკევენ.



ვაგიკანის გვარლის აჯარის საქმელღღეს ზუსტად იმეტივა, როგორც 500 წლის წინ

ვატიკანის გვარდისთვის აბჯარის, ისევე როგორც ხუთი საუკუნის წინ, დღესაც ავსტრიულ ალკაპში, დაბა მოლნში ჭედავენ.

ფოტოსურათზე შიდადებულების სავარაუდო სამჭედლოა გამოსახული, სადაც მძები — 29 წლის იოჰანი და 28 წლის გოგოი აბჯარის შესაქმნელად მუშაობდა და რაც ვეღაზე საინტერესოა, ყოველგვარი თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენების გარეშე, საუკუნოვანი მეთოდიც მუშაობენ.

თუმცა მჭედელი მძები აბჯარის თითოეული დეკემენტის ხელით დაზნადებას დაახლოებით 120 საუკუნო სით-ანდომებენ. სამაგიეროდ,

მათი ნახელავი თითქმის არ განსხვავდება ასწლეულების წინ მოღონის განთქმული მჭედლების შექმნილი შედეგებისგან.



გაუიხული მუხახუბავის ახალი იარაღი



ესპანეთის ჩრდილოეთით მუხახუბავის გაფიცვა ლამის ერთი თვეა გრძელდება და აქა-იქ არეულობაც იჩენს ხოლმე თავს.

ფუნისის მიწურულს ქალაქ სინერაში პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის მორიგი შეტაკება მოხდა და ესპანელმა სამხრეთდამცველებმა არეულობის აღსაკვეთად ძველი და ნაცადი საშუალებები – რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. აი, გაფიცულმა მუხახუბავებმა ფანტაზიას უხუმეს და პოლიციასთან საბრძოლველად „ტრადიციულ“ ქებთან ერთად გამოიყენეს უჩვეულო იარაღი – თვითნაკეთი რაკეტების სასროლიც, რომლის მოქმედების ეფექტი „მოლოტოვის კოქტეილის“ ანალოგიურია.


უკრაინა და სისასტიკა – როგორ წვრთნიან ჩინეთში მოგზაურ ჰიკაღ მხველებს

პირადი მცველის პროფესიის დაუფლება რომ სახუმარო საქმე არაა, მწელი მისახვედრი არ არის. რა თქმა უნდა, სხვათა სიცოცხლის დაცვა რომ შეძლო, სულ ცოტა, მძიმე სიტუაციაში საკუთარი თავის სათანადო დაცვა უნდა შეეძლოს, რისთვისაც ხანგრძლივი და მუხლჩაუხრელი შრომა და მომზადებაა საჭირო.

თუმცა, ის მეთოდი, როგორითაც ჩინეთში ამზადებენ პროფესიონალ პირად მცველებს, თანაც გოგონებს, რბილად რომ ვთქვათ, არაპუქმანურია და ხანაზაყადაც ღრს.

ამ მშვენიერ აზიელ ასულებს, აღბათ, მკერდში გულეები ქალურადაც შეუტოკდათ, როდესაც დილაუთენია მაშრობითი სქესის პირქუშმა ოცემთაურმა უთხრა, საცურაო კოსტიუმებში გამოიწყვეთ, დღეს პლაჟზე მივდივართ... მაგრამ გარუჯავა და რომანტიკა სხვა დროს, კურსანტებს ამტანობის ტესტი აქვთ ჩასატარებელი.

ამ არაადამიანური 10-თვიანი კურსის გავლის შემდეგ ოცეულებიდან მხოლოდ რჩეულები გაიმკრეპრებიან ისრაელში, სადაც გააგრძელებენ პროფესიის დაუფლებას.




აერიკელებს ავლანეთგაპოვლილი სახელოო გეპენიოს უკან ზილვა „უხაკავათ“



2014 წელს ავლანეთიდან შეიარაღებულნი ძალების გაგვანის შემდეგ ამერიკელები საბრძოლო მოქმედებებში გამოყენებული სამხედრო ტექნიკის დატოვებას მუხობულ სახელმწიფოებში – ვირგინეთში, უხბეკეთსა და ტაეჯიკეთში აპირებენ. თურმე ჰენტაგონში დაითფაღეს და დაადგინეს, რომ ამ ტექნიკის უკან, აშშ-ში ტრანსპორტირება საკმაოდ ძვირი დაჯდება, მისი ავლანეთში დატოვება კი სპშიაა.

ამჟამად ავლანეთში ISAF-ის ძალები 6900 ჯგუშანტრანსპორტორ M-ATV-ს, 8000 ჯგუშანტრანსპორტორ MRAP-სა და 10 ათასზე მეტ ჯიპს – Humvee-ს ითვლის. ამ ვეეულაფრის გარდა, ამერიკელებს ავლანეთიდან უამრავი საჭიფირო აღჭურვილობის, კავშირგაბმულობისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების და თქვენ წარმოიდგინეთ, მოძრავი სატრენაფირო დარბაზების უკან „თრევა“ ესიკვდილებათ. ზემოთ ნახსენებ სახელმწიფოებთან სამხედრო ტექნიკის გადაცემის იაობაზე მოლაპარაკება უკვე დაწყებულია, როგორც ირკვევა, ამერიკული ტექნიკის ნაწილს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებში უსასყიდლოდ მიიღებენ, ნაწილს კი შეინახვენ. ეს ვეეულაფერი ძალიან აფიქრებს მოსკოვს, რომელსაც ცენტრალურაზიური სახელმწიფოები აქამდე თავისი წარმოების შეიარაღებაზე მკაცრ პოლიტიკას ირჩევენ.

კომპანია „ბონიგი“ უპილოტო „ფორინაი ფაითი“ გაემოტბას იწყებს



კომპანია „ბონიგი“ ახალი უპილოტო საფრენი აპარატის, X-48C-ის საფრენ გამოცდას იწყებს, რომელიც „ფორინაი ფაითი“ სექშითაა შექმნილი.

გამოცდის პირველ ეტაპზე უპილოტოს დაბალ სიჩქარეზე მართვა შემოწმდება. მოლიანობაში კი „ბონიგის“ ინჟინრები X-48C-ის 25 საცდელ გაფრენას შეასრულებენ. შედარებისთვის, აპარატის უწინდელმა ვერსიამ — X-48B-მ 90 გაფრენა შეასრულა და 2010 წელს საფრენი გამოცდები შეწყდა.

ახალი აპარატი წინა ვერსიისგან დიდად არ განსხვავდება და მას სამის ნაცვლად ორი ტურბოროტორული ძრავა აქვს, ხოლო გაბარიტულ მანსაიათებლებს ჯერჯერობით არ ახმაურებენ. უპილოტოს წინა ვერსიის ფრთების გაქანი 6,22 მეტრს შეადგენდა, 227 კგ-ს იწონიდა, 219 კმ/ს-მდე სიჩქარეს ავითარებდა და 3 კმ სიმაღლეზე 40 წუთი დაფრინავდა.

გერმანულ კორპორაცია კიგოს გაემოწმებენ აირი ქონას

K130 ტიპის ხუთი გერმანული კორეტის სამანქანო განყოფილებაში მომწამლებელი აირი აღმოჩნდა, რის გამოც მებრძოლებს მუშაობა აირწინალებით უწყევთ.

ბორტზე სამიში აირის არსებობის შესახებ ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც გერმანიის სამხედრო-სახლდლო ძალების მცურავ საშუალებებს გატანობით ვინიტილი ქვეყნის პოლიტიკოსები ესტუმრნენ. პოლიტიკოსებმა სამანქანო განყოფილებებში ტექნიკური პრობ-

ლემების შესახებ მებრძოლებისგან შემთხვევით შეიტყვეს, ამას კი შემოწმება მოჰყვა და აღმოჩნდა, რომ კორეტების ძრავის განყოფილების ერთ-ერთი სისტემის საინჟინერი მასალა გაზრებისას ციხის გამოწვევს აირს — ფორმალდეჰიდს გამოყოფს. სამხედროები კორეტების მშენებელ ქარხანას ადანაშაულებენ. არადა, K130 ტიპის ხუთი კორეტი გერმანიის ოფიცის საინჟინერის ოფის დროზე არცთუ იაფი — 1,2 მლრდ ევრო დაუჯდა.



უპილოტო „გასაგახებელი“ მოწყობილობა სულ რაღაც ათასი დოლარი ჯდება

მამინ, როცა უპილოტო საფრენი აპარატების შექმნასა და სრულყოფას მსოფლიოში დიდი დრო, ფული და ადამიანური რესურსი ხმარდება, ტექნიკის უნივერსიტეტის მეკლერებმა გააკეთეს მოწყობილობა, რომლის მეშვეობით სხვისი შექმნილი უპილოტოს „მითვისება“ ძალზე იოლად შეიძლება.

მოწყობილობა GPS-spoofers-ს ძლიერი სიგნალის მეშვეობით თანამგზავრიდან მართული უცხო ქვეყნის აპარატის სანავიგაციო სისტემაში „ხელის ფართი“ შეუძლია. შესაბამისად, მოწყობილობის მფლობელი უპილოტოს მართვას

სურვლისამებრ ცვლის ან მისი დაკარგვის პრობლემაზე ხელნახდის.

დიმიტის მომგვრელია, მაგრამ ფაქტი, რომ GPS-spoofers-ს შედეგება ისეთი კომპონენტებისგან, რომლებიც ელექტროსაქონლის ჩვეულებრივ მაღარებშიც იყიდება და თან სისტემის აწყობას 1.000 აშშ დოლარზე მეტი არ დასჭირდება. შესაბამისად, უპილოტოების „გასაგახებელი“ მოწყობილობის შექმნა არც ბიორატომქმედებს გაუჭირდებათ ერთადერთი პრობლემა მხოლოდ „სუფერისთვის“ საჭირო პროგრამული უზრუნველყოფაა, რომელიც ვეფლასთვის ხელმისაწვდომი ჯერ კიდევ არ არის.



თურქეთი NATO-სგან სირიის დასუკავს მოითხოვს



თურქული RF-4E-ს ჩამოვდება სირიას შეიძლება NATO-სთან დაპირისპირება დაუვლეს

თურქეთმა მოიწვია NATO-ს სასწრაფო თათბირი ალიანსის წესდების IV სტატიის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, თუკი NATO-ს ერთ-ერთი წევრი ქვეყნის „ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ან უსაფრთხოებას“ საფრთხე ემუქრება, ალიანსის წევრები ვალდებული არიან სასწრაფოდ იმოქმედონ კრიზისის დასარეგულირებლად.

ამ თათბირზე თურქეთმა NATO-ს წევრი ქვეყნებისგან მოითხოვა სპეციალური გეგმის შედგენა, რომელიც სირიის თავზე არასაფრენ ზონის შექმნისა და თურქეთის უსაფრთხოების დასაცავად, თუკი სირიის ხელისუფლება განაგრძობს აგრესიულ მოქმედებებს.

თურქეთმა სირიის საზღვრისკენ უკვე დაწყო საჰაერო თავდაცვის სისტემების გადასროლა. თავის მხრივ, სირიამ თურქეთის საზღვრის ახლოს 170-მდე ტანკს მოუყარა თავი.

სიტუაცია ამ ორ მუშობელ ქვეყანას შორის უკიდურესად იძაბება, ყველაფერი კი თურქული „ფანტომის“ ჩამოვლევით დაიწყო.

22 ივნისს სირიის მიერ თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავის ჩამოვდება გახდა საპაბო იმისა, რომ NATO-ს წევრი თურქეთი ალიანსისგან ითხოვს სირიის თავზე არასაფრენ ზონის გამოცხადებას, როგორც ეს ლიბიის შემთხვევაში მოხდა.

ასადის რეჟიმი დასავლეთს უკვე ყველზე ადგას და რომ არა რუსეთისა და ჩინეთის საწინააღმდეგო პოზიცია, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დღეიწინის წინ დაიწყებდა წერტილოვან საჰაერო დარტყმებს პრეზიდენტ ასადის რეზიდენციისა და სირიის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებზე.

დასავლეთის პოზიციას ისიც ამყარებს, რომ სირიის მუშობელი ქვეყნების (გარდა ერთისა) ხელისუფალნიც მომხრე არიან ბაშარ ასადის რეჟიმის დამხობისა და აარადით უკვე დაუფრთხად ემბარგოებთან სირიაში მოქმედ ოპოზიციურ ძალებს.

ასადის რეჟიმის წინააღმდეგ NATO-ს შესახლო საჰაერო ოპერაციას უეჭველად მხარს დაუჭერს თურქეთის, იორდანის, საუდის არაბეთისა და შეიძლება — ერაყის ხელისუფლებაც. ისრული სირიის წინააღმდეგ ბრძოლაში აშკარად არ ჩაებმება, მაგრამ უდჯოა, თელ-ავეს ზელს აძლევს იმ მუშობელი ქვეყნის დასუსტება, რომელთანაც დღემდე „ცოფი იმის“ მდგომარეობაში იმყოფება.

ერთადერთი ქვეყანა, რომელიც კბილებით დაიცავს ბაშარ ასადის რეჟიმს, ირანია. თეირანში კარგად აცნობიერებენ, რომ სანამ სირიაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს და დასავლეთს პრეზიდენტ ასადის პრობლემა ვერ მოუვარება, აშშ ირანისთვის ვერ მოიცვლის.

ცნობილია სცენარიც, თუ როგორ შეიძლება იმოქმედონ დასავლეთის კოალიციურმა ძალებმა სირიის ხელისუფლებას წინააღმდეგ: წერტილოვანი საჰაერო დარტყმები განხორციელდება სირიის საჰაერო თავდაცვის სისტემების, აეროდრომების, საკომუნიკაციო საშუალებების გასანადგურებლად და თუ გაუმართლათ, საჰაერო დამომბეით შეუცდებიან თავად ბაშარ ასადის ლიკვიდაციასაც, მაგრამ ამისთვის საჭიროა იმის ცოდნა, თუ როგორია დღეს სირიის საჰაერო თავდაცვის სისტემა, რა მიმართულებებიდან და რა სიმაღლეებზე შეუძლიათ სირიის რადიოლო-

კატორებს საჰაერო სამიზნების აღმოჩენა, რა საზენიტო საშუალებები (საზენიტო-სარაკეტო და საზენიტო არტერიული) აქვს ასადის რეჟიმს და ა.შ.

ჩვენ მხოლოდ ვარაუდს შეიძლება გამოუთქვამთ იმის თაობაზე, რომ 22 ივნისს ჩამოვდებული თურქული „ფანტომი“ სწორედ სირიის საჰაერო თავდაცვის სისტემის საშუალებების გამოვლენას ცდილობდა.

ჩვენს ვარაუდს აძლიერებს ის ვარაუდიც, რომ თურქული „ფანტომი“ RF-4E მოდიფიკაციის, ანუ სადაზვერუო ვარიანტი გახლდათ სხვათა შორის, თავად თურქეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ „ფანტომის“ ფრენა იყო თავად თურქული საჰაერო სისტემის ერთგვარი ტესტირება, ანუ მიმდინარეობდა ვარჯიში, დროულად აღმოაჩენდნენ თუ არა დაბალ სიმაღლეზე სწრაფად მფრენ რეაქტიულ თვითმფრინავს.

სირიის საჰაერო სერვესში შეჭრილი თურქული „ფანტომის“ მთავარი ამოცანა შეიძლება ყოფილიყო იმ სირიული ახალი რადიოლოკატორების მუშაობის პარამეტრების დაფიქსირება, რომლებიც რუსეთმა ბოლო დროს მიაწოდა ბაშარ ასადის რეჟიმს.

თურქული მხარე ნამდვილად არ მოელოდა, რომ სირიელი მეზენილები მათ მზეერავ „ფანტომს“ ჩამოავდებდნენ. ანკარა აცხადებს, რომ „ფანტომი“ სირიელებმა საერთაშორისო წესების თავზე რაკეტით ჩამოავდეს. თავად სირიელები კი ამტკიცებენ, რომ უცნობი საფრენი აპარატი, რომელმაც მათი საჰაერო სერვეზი დაარღვია, არა რაკეტით, არამედ საზენიტო არტერიული ჭურვებით განადავგურეს.

ძალზე მნიშვნელოვანია, თუ რა სა-

მოძველებული KyB-ები სირიის საჰაერო თავდაცვის შეიარაღებაში



„პანცირი“ და რვა მოდერნიზებული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი **Бук-М2**.

ვარდა ამისა, სირიის საჰაერო თავდაცვის ძალების განკარგულებაში დაახლოებით 148 დანადგარი **С-125** ტიპის საზენიტო რაკეტების გასაშვებად; **С-200** ტიპის 44 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი, **Оса-АКМ-ის** 14 მობილური დანადგარი, **20 Стрела-1**-ისა და **30 Стрела-10**-ის მობილური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი და **20-მდე Бук-М1**, სულ 4 ათასამდე გადასატანი „იგლა“ და „სტრელა“. საზენიტო არტილერიიდან სირიელთა შეიარაღებაშია **100მმ-იანი КС-19**, **57მმ-იანი С-60**, **23მმ-იანი ЗУ-23-2** ტიპის საზენიტო ქვემუხები და თვითმავალი საზენიტო დანადგარები **ЗСУ-23-4 Шилка**.

საუბარი იყო რუსეთიდან **10 ცალი С-300П** ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემის შემენახვეც, მაგრამ **27** თვის ისრაელში ოფიციალური ვიზიტით გაოფშა პრეზიდენტმა პუტინმა მიიღო გადაწყვეტილება, შეეწერებინა ბაშარ ასადის რეჟიმისთვის იმ მაღალი საბრძოლო შესაძლებლობების საზენიტო-სარაკეტო სისტემის მიყიდვა, რომელსაც ასე უფრო ხის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ავიაცია.

თუკი სირიის შეიარაღებულმა ოპოზიციამ ვერ მოახერხა ბაშარ ასადის დამხობა, მაშინ მის წინააღმდეგ დასაულებლი, ადრე თუ გვიან, ალბათ, მაინც გამოიყენებს ასე აპრობირებული წერტილოვანი დარტყმების ტაქტიკას...

ირაკლი ალაღაშვილი

შუალეობით იქნა ჩამოგდებული „ფანტომი“. თუკი ის საზენიტო არტილერიამ „ჩამოხსნა“ (რაც დასტურდება), მაშინ ის, ცხადია, მართლაც სირიის სანაპიროს თავზე მიფრინავდა, რადგან საერთაშორისო წყლებში, სანაპიროდან **12** მილის მოშორებით, მას საზენიტო არტილერია ვერ მისწვდებოდა.


ამისთან დაკავშირებით ჩნდება მოსაზრება: ჩვეულებრივ, საზენიტო **ЗУ-23-2**-იდან განსნილი ცეცხლი დაბალ სიმაღლეზე სწრაფად მფრინ თურქულ „ფანტომს“ ვერაფერს დააკლებდა და სავარაუდოდ, იგი ახალმა რუსულმა სა-

ზენიტო სარაკეტო-საარტილერიო კომპლექსმა **Панцирь-С1**-მა ჩამოაგდო **30** მმ-იანი ქვემუხის ჭურვებით.

Панцирь-С1, ფაქტობრივად, იმ **Тунгუსка**-ს მოდერნიზებული ვარიანტია, რომელიც რუსეთის არმიამ **2008** წლის აგვისტოს ომის დროს ცხინვალის რეჟიმის მიმართ გამოიყენა.

NATO-ის წერტილოვანი საჰაერო დარტყმებისაგან თავდასაცავად ბაშარ ასადის რეჟიმმა დაჩქარებული ტემპით დაიწყო რუსეთში თანამედროვე საზენიტო საშუალებების შესყიდვა. დღეისათვის სირიაში ჩატანილია **30-მდე**

სირიაში უკვე ჩატანილია **30-მდე** რუსული საზენიტო-სარაკეტო-საარტილერიო კომპლექსი **Панцирь-С1**



სირიის სამოქალაქო ომი და კავკასია

გასული წლის იანვარში სირიაში დაწყებული მღელვარება ორ თვეში საყოველთაო გამოხსენებას და ქვეყნის პრეზიდენტ ბაშარ ასადის გადადგომის მოთხოვნაში გადაიზარდა.

ახლა საქართველოს სამხრეთი საზღვრებიდან დაახლოებით 600-700 კმ-ის დაშორებით სირიის არაბთა რესპუბლიკაში მე-2 წელია სამოქალაქო ომი მიმდინარეობს. მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი მატულობს.

მიმდინარე მივლენები გასული წლის არაბული რევოლუციების ტალღას აგრძელებს და მისი მიზანია დიქტატორული რეჟიმების დამხობა და მეტი პოლიტიკური თავისუფლების მიღწევა.

სირიის ხელისუფლებამ 1963 წლის 8 მარტს სახელმწიფო გადატრიალებით არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია (ბაასი) მოვიდა. 1970 წლიდან ქვეყანას ჰაფეზ ასადი მართავდა, ხოლო 2000 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ იმ პრეზიდენტის პოსტი ჰაფეზის ვაჟმა ბაშარმა დაიკავა.

სახალხო პროტესტს ხელისუფლებამ სამხედრო ძალა დაუპირისპირა. ქუჩაში გამოსულ ადამიანებს ბომბავენ არტილერიითა და ავიაციით, ესკრიან ტყვიას, დროდადრო ელექტროენერჯია უთმავენ, წყლის მიწოდებას უწყვეტენ, ფქვილსა და კვების პრო-

დუქტებს კონფისკაციას უკეთებენ, მაგრამ წინააღმდეგობის მუხტი არა თუ სუსტდება, პირიქით მეტ ძალას იკრებს.

მღელვარება არმიასაც გადაელო და სამხედროთა შორის დეზერტირობა გახშირდა. ოპოზიციის მხარეს გადასულ ათასობით ჯარისკაცსა და ასეულობით ოფიცერს ათზე მეტი გენერალი შეუერთდა.

დაპირისპირების დაწყებამდე სირიის შეიარაღებული ძალები დაახლოებით 300 ათასზე მეტ სამხედრო მოსამსახურეს თოვლიან და გამოცდილი კადრებით იყო დაკომპლექტებული.

ბევრი მათგანი ისრაელთან ომების, ლიბანის სამოქალაქო ომისა თუ სპარსეთის ყურეში 1991 წელს ერაყის წინააღმდეგ მოქმედებების მონაწილეა.

აუხაზური წარმომავლობის სირიელი მოქალაქეები აუხაზეთის 1992-93 წლების ომშიც მონაწილეობდნენ. მათი რაოდენობა დაახლოებით ორ ათეულამდე თუ იქნებოდა და მათ შორის სირიის არმიაში ნამსახურები პირებიც იყვნენ.

არმია მთლიანად საბჭოური ან რუსული იარაღით არის აღჭურვილი. ახლო აღმოსავლეთში სირია კრემლის მთავარ მოკავშირედ ითვლება და არცთუ უანგაროდ. პორტ ტარტუსში ჯერ ისევ მოქმედებს რუსეთის საზღვ-

რო-საზღვაო ფლოტის ბაზა და სხვა სამხედრო ობიექტები.

სამთავრობო ძალებთან ბრძოლაში აჯანყებულთა და დეზერტირ სამხედროთა რანგში თანდათან ორგანიზებული გახდნენ და 2011 წლის 29 ივლისს პოლკონიკმა რიად ალ-ასადმა სირიის თავისუფალი არმიის ჩამოყალიბების შესახებ გამოაცხადა.

ახალშექმნილი არმიის მიზანია მთავრობის ძალადობისგან მშვიდობიანი მოსახლეობისა და რევოლუციის დაცვა.

ოპოზიციის მხარეს გადასული გენერალ მუსტაფა ალ-შიხის თქმით, 2012 წლის დასაწყისში სირიის თავისუფალი არმიის რიგებში დაახლოებით 20 ათასი ახადის არმიის ყოფილი სამხედრო იბრძოდა.

დეზერტირთა რაოდენობა განუწყვეტლევ მატულობს და, საკარაუდოდ, შეიძლება უკვე 40 ათასაც გადააჭარბა.

სირიის თავისუფალი არმიაში ბატალიონების სტრუქტურა მღელვანი, რომელიც თავის მხრივ უფრო მცირე დანაყოფების — საბრძოლო გვერდებისგან შედგება და მათ მეტწილად ყოფილი სამხედროები ხელმძღვანელებენ.

პირადი შემაღენლობა მსუბუქი

ავტომატი
შეიარაღებული
წინააღმდეგობის
ცხენოსანი
მებრძოლი



ცეცხლსასროლი იარაღითა და, ძირითადად, „კალაშნიკოვის“ სხვადასხვა მოდილის ავტომატით არის აღჭურვილი. ოპოზიციონერებს ასევე აქვთ ავტომატური შაშხანები — ამერიკული M16-ები და ბელგიური FN FAL-ები, სანადირო იარაღები, PK-ს ტიპის

ხელის ტყვიამფრქვევები, PFG-7-ის ტიპის ხელის ყუმბარსატყორცები და მრავალი სხვა.

ოპოზიციის განკარგულებაშია მცირე რაოდენობით ტანკები, ქვეითთა საბრძოლო მანქანები, ჯუშანტრანსპორტიორები, თეიშანკით დაჯე-

შული მანქანები, შეიარაღებული პიკაპები და ა.შ.

ლობის მსგეისად სირიაშიც ანტი-სამთავრობო ძალები გზებზე პიკაპებითა და მოტოციკლებით მოხილურ კოლონებად გადაადგილდებიან, მაგრამ სამთავრობო ავიაციის ბატონობის გამო გზებზე მოძრაობა დიდ რისკთან არის დაკავშირებული.

უიაცია და მფრინავები სირიის არმიის ელიტურ ნაწილად ითვლება, რომელიც ახლა საკუთარ ხალხს ებრძვის.

პრეზიდენტ ბაშარ ასადის ერთგულების მიუხედავად, ქვეყანაში დაჩვენებული პროცესები საკაერო ძალებსაც შუბი. 21 თვის სამხედრო-საკაერო ძალების პოლკოვნიკმა ჰასან ჰამადმა ავიაციამანდურებული MIG-21 ორდანიში დასვა და პოლიტიკური თვშესაფარი თიხი. ვარაუდობდნენ, რომ მფრინავს ორდანიის ხელისუფლება სირიას უკან დაუბრუნებდა, მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა და მფრინავის თიხნა სწრაფად დაკმაყოფილდა.

პოლკოვნიკ ჰასან ჰამადს მიმდევრებიც გამოუჩნდნენ და 24 თვის კიდევ 3 მფრინავი, ოღონდ სახმელეთო გზით, ორდანიში გადავიდა.

სირიის თავისუფალი არმია სამთავრობო ძალებს პარტიზანული ომის ტაქტიკით ებრძვის, ანუ პირდაპირ შეტაკებებს ერიდება და ჩასაფრებებსა და მოულოდნელ თავდასხმებს იყენებს.

ქალაქებში შეყვანილი არმია, ფაქტობრივად, ბლოკირებულია, რადგან მანფრინავისთვის აუცილებელ სფეროებში შეზღუდულია და საკმარისია ჯარისკაცმა დატოვოს ტანკი ან ქვეითთა საბ-


პიკაპი ორიგინალურად „დაჯეშული“
საცეცხლე საშუალებით



სირიელი ხელისუფლების თვითშემოქმედების შედეგი



სამთავრობო არმიის დატყვევებული ჯარისკაცების დახვეწა სამოქალაქო ომის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია



რძილი მანქანა, რომ მაშინვე ოპოზიციონერთა ცეცხლქვეშ აღმოჩნდება.

თავდასხმები მთავრობის ჯავშანკოლონებზე ქალაქის ქუჩებში, სოფლებსა და გზებზე, სახმადრო პოსტებზე ყოველდღე ხდება.

ომი ორივე მხრიდან განსაკუთრებული სისასტიკით მიმდინარეობს. სამთავრობო ძალები ადგილზევე ხერხებენ იმ ჯარისკაცებს, ვინც ბრძანებას არ ასრულებენ და მშვიდობიან მოსახლეობას არ ესვრიან.

თავის მხრივ, სირიის თავისუფალი არმია ტყვედ აყვანილ სამთავრობო არმიის ჯარისკაცებს იმავე მეთოდით უსწორდება.

ოპოზიციონერთა რიგებში შესამჩნევია 10-15 წლის შეიარაღებული მონარების გამოჩენა, რომლებიც, ალბათ, ბრძოლებშიც მონაწილეობენ.

ჯერჯერობით ასადის არმია მრავალრიცხოვანი სატანკო პარკისა (ომის წინ დაახლოებით 4800 ტანკს ითვლიდა) და ავიაციის ხარჯზე დანაკარგს იოლად იტანს, მაგრამ ხანგრძლივი დაპირისპირება სამხედროების მორალურ სულსკვეთებასა და ბრძოლისუნარიანობაზე გავლენას მაინც მოახდენს. მით უფრო, რომ სირიის თავისუფალი არმიის წინააღმდეგობა სულ უფრო ორგანიზებული ხდება, ამასთან, მას მხარს უჭერენ ქვეყნის საზღვრებს გარეთაც.

სირიაში მიმდინარე მოვლენები გამოძახილს კავკასიაშიც მოულოდნელად 1500-ზე მეტი სირიელი სომეხის რესპუბლიკის მოქალაქეობას ითხოვს და მათი რაოდენობა ყოველდღიურად მატულობს.

მეფის რუსეთის მიერ ჩრდილო კავკასიიდან და აფხაზეთიდან გასახლებული ჩერქეზებიც ისტორიულ სამშობლოში ბრუნდებიან.

200-ზე მეტი რეპატრიანტი უკვე გაბარდო-ბალყარეთში ჩავიდა, ხოლო 93 კი ადიღეში დარჩა.

ამ პროცესში აქტიურად ჩაერთო სეპარატისტული სოხუმის ხელისუფლება და აფხაზეთში ვინიკური შემადგენლობის გაუმჯობესებას რეპატრიანტთა სირიელი ჩერქეზებით ცდილობს. ჯერჯერობით აფხაზეთში სირიიდან ჩამოსული რამდენიმე ოჯახი — სულ 27 კაცია.

საერთაშორისო თანამეგობრობა პრობლემის დაძლევის ცდილობს, მაგრამ მოსკოვის არაკონსტრუქციულობის გამო ბაშარ ასადის რეჟიმზე ზეწოლა სასურველ ეფექტს არ იძლევა.

თმშპრ ჩანახედი



აფხაზეთში სირიელ ჩერქეზთა პირველი ჯგუფი ჩავიდა და ისინი იქ დაფურცებას აპირებენ



ჰყავს კი საქართველოს მოიერიშეები გასაყიდი?!

გაქოზი ირჩეუნებიან, რომ საქართველომ აზერბაიჯანს არანაკლებ 108 მლნ დოლარის შეიარაღება მიჰყიდა...

თურმე საქართველო არა მარტო ვიდულობს შეიარაღებას, არამედ თვითონაც ვიღის და თანაც — სოლიდური ღირებულებისას.

ყოველ შემთხვევაში, აზერბაიჯანული ინტერნეტსაიტის, Defence.az-ის მტკიცებით, საქართველო უკრაინასა და რუსეთთან ერთად ამარაგებდა აზერბაიჯანს იარაღით.

აზერბაიჯანულ ვებგვერდზე მითითებულია, რომ 2003-2008 წლებში უკრაინამ აზერბაიჯანს 364 მლნ დოლარის ღირებულების შეიარაღება მიაწოდა, რუსეთმა — 128 მლნ-ის, ხოლო პატარა საქართველომ, არც მეტი, არც ნაკლები — 108 მლნ-ის(!).

არადა, სწორედ ამ წლებში, ავგისტოს ომამდე, ქართული არმია თავად

გამალეული იარაღებოდა და მსოფლიოს ყველა კუთხეში ჰყვდა გაგზავნილი ემისრები იარაღის პარტიების შესახებანად.

ნუთუ ასეთ დროს თბილისს ჰქონდა რაიმე სახის შეიარაღება, რომელიც თავად არ სჭირდებოდა და მუშობელ და მგეობარ აზერბაიჯანს მიჰყიდა?

თქვენ წარმოიდგინეთ, ასეა!

იმის მტკიცებას ვერ დავიწყებთ, რომ აზერბაიჯანისთვის მივიღული შეიარაღება ქართულ არმიას არ სჭირდებოდა (ალბათ, პირიქით), მაგრამ ფაქტია, რომ იმ წლებში საქართველოდან აზერბაიჯანში მართლაც გავიდა ათეულობით მილიონი დოლარის ღირებულების საბრძოლო ტექნიკა.

არაოფიციალურად აზერბაიჯანი და საქართველო იარაღი 1992 წლიდან ვაჭრობდნენ. მაგალითად, აფხაზეთის ომის დროს „მუდრიონმა“ აზერბაიჯანში ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის „ურაგანის“ რამდენიმე რაკეტა იყიდა (ფულს მუდრიონელებმა ფარმავანცი დაუმატეს, რადგან აზერბაიჯანელ საუელე მთაურს ძალიან ჰყვარებია ეს ფრინველი), თუმცა ტექნიკური გაუმართაობის გამო მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება ვერ შეძლეს. მიოვანებით, აფხაზეთის ომის შემ-



აზერბაიჯანის სამხედრო-საჰაერო ძალებში სამ ათეულამდე მოიერიშე თვითმფრინავია, რომელთა უმეტესი ნაწილი საქართველოშია ნაყიდი

დგ, სამხედროებმა აზერბაიჯანელ კოლეგებს D-20 ტიპის საუბრეცები გაუგზავნეს, რომლებიც გზაში მამინდელმა უშიშროების მინისტრმა ივორ გიორგაძემ დააკავა.

თუმცა ეს მხოლოდ თითო-ორი-ლა შემთხვევა იყო და ალაპარაკი საქართველოსა და აზერბაიჯანის სერიოზულ სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობაზე არც ღიღინებს.

90-იანი წლების შუახანებში აზერბაიჯანმა საქართველოსგან პირველად იყიდა რამდენიმე Cy-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი. ისინი დანიშნულების ადგილზე საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა ვალერი ნაიფთამ გადაიყვანა, რისთვისაც ის უშიშროების სამსახურს ცოტა ხნით შინაპატიმრობაშიც კი აყვავდა.

პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც აზერბაიჯანისთვის Cy-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავების მიყიდვის ფაქტი დასტურდება, არის 2006 წლის 30 თვისით დათარიღებული ამონაწერი გაეროს შეიარაღების რეესტრიდან.

ამ დოკუმენტის თანახმად, აზერბაიჯანული მხარე ოფიციალურად ატყობინებს გაეროს შესაბამის სტრუქტურას, რომ 2005 წელს საქართველოსგან შეიყიდა ექვსი Cy-25 ტიპის მოიერიშე და ერთი Cy-25VB ტიპის ორადგილიანი სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავი, თუმცა ცხადია, თბილისის საჰაერო ქარხანას შეიდ საბრძოლო თვითმფრინავი (ძუბუღაუდ იმისა, რომ ორადგილიანი მოდიფიკაციისა უფრო ძვირი ღირს) 108 მლნ დოლარს არაუფრო გადაუხდია — საექვსოა, თითოეული თვითმფრინავის ფასი თუნდაც 5 მლნ ყოფილიყო.

გაეროს შეიარაღების რეესტრის მონაცემების ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ აზერბაიჯანის ასეთი გარიგება საქართველოს ხელისუფლებასთან ადრეც დაუდგია. ამ რეესტრის 2003 წლის 21 ავეგსტით დათარიღებულ დოკუმენტში წერია, რომ საქართველომ აზერბაიჯანს 2002 წელს მიჰყიდა ექვსი ერთეული Cy-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი. თუმცა ვერც ცამეტე მოიერიშის გასაყიდი ფასი მიაღწევს 108 მლნ დოლარს.

2011 წლის 27 დეკემბერს აზერბაიჯანის ერთ-ერთ სამხედრო აეროდრომზე ტრავაჟია დატრიალდა — Cy-25-ის ერთ-ერთმა რეაქტივულმა ძრავამ ჰაერშიმღებში შეიარაღა თბილისის საჰაერო ქარხნის სპეციალისტი, რომელიც, სამწუხაროდ, დაიღუპა.



თბილისის საჰაერო ქარხნიდან გადაყვანილი Cy-25-ები აზერბაიჯანის სამხედრო აეროდრომზე



საქართველოდან სპეციალისტების გაგზავნა გეაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია, თბილისის საჰაერო ქარხანა ისევ ყიდის აზერბაიჯანში მოიერიშე Cy-25-ებს (ან მათ ფიუჩერლაგებს) და აზერბაიჯანელი სამხედრო ექსპერტების დათვლილ 108 მლნ დოლარში ამ გარიგების საფასურიც შევიდა.

საკულისხმია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველო აღარ აწვდის იარაღის ყიდვა-გაყიდვის შესახებ მონაცემებს გაეროს შეიარაღების რეესტრს.

2009 წელს აზერბაიჯანმა კვლავ იყიდა ხუთი ერთეული Cy-25, ოღონდ ამჯერად ბელორუსისგან, რაც დადასტურებულია 2010 წლის 5 ნოემბრის დოკუმენტში. სხვათა შორის, დღეისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში ყველაზე მეტი (24-30 ერთეული) Cy-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი აზერბაიჯანს ჰყავს, მთორე ადგილზეა სიმსუი 15 მოიერიშე (ერეენმა 2004 წელს სლოვაკეთიდან 10 ასეთი საბრძოლო თვითმფრინავი შეიძინა), ბოლო ადგილს კი, 12 მოიერიშე იკავებს საქართველო, ძუბუღაუდ იმისა, რომ 1979 წლიდან ერთადგილიან საბრძოლო Cy-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავებს მხოლოდ თბილისის საჰაერო ქარხანა აწყოფდა...

ირაკლი ალაღაშვილი

ტაშივის დესანტი ქართულმა რადარმა დროულად დააფიქსირა, მამრამ...



აფხაზეთის ომიდან წლები გავიდა, მაგრამ უამრავ ძალზე მნიშვნელოვან კითხვავს პასუხი არ არსებობს და ბევრიც აღუბათ, სამუდამოდ უპასუხოდ დარჩება. გაურკვეველი სიტუაციები მრავლად იყო საზღვაო მიმართულებითაც. აფხაზეთის ომის საზღვაო ოპერაციების დეტალებს ომის მონაწილე, რადიოტექნიკური საგზაშვოს ყოფილი მეთაური ტრისტან დანელია იგონებს.

— მთელი ჩემი ცხოვრება ზღვაში გაატარე. საუკლავო საზღვრო სამსახური შვეი ზღვის ფლოტში მოვიხადე, შემდეგ კი მუხღვაურობა გადავწყვიტე. თავიდან სოხუმში ვიყავი, შემდეგ 11 წელი ფოთიდან დავდიოდი შორეულ ნაოსნობაში. შემდეგ სეინერებზე ვმუშაობდი. ხან ელექტრომექანიკოსი ვიყავი, ხან მეორე შტურმანი, კაპიტნის უფროსი თანარემეწე და ბოლოს ПТС-59-ის კაპიტანიც. როცა 1992 წელს ქართულ-აფხაზური ომი დაიწყო, სოხუმში ეცხოვრებდი და მგობრებთან ერთად საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მობალისედ ჩავეწიე. ჩამოციხეს ერთი-ნული გვარდიის შესაძებ ბრიგადის ოპერატიულ განყოფილებაში. ვიყავი საზღვაო მიმართულების ოფიცერი.

— რა გველბოდა?

— ვმუშაობდი ოპერატიული განყოფილების საზღვაო მიმართულებებზე და ზღვის გაკონტროლება გვევალბოდა. საზღვაო განყოფილებაში სამი კაცი ვიყავით სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის უფროსი — პირველი რანგის

კაპიტანი ანატოლი მინასიანი, უფროსი ლეიტენანტი ნოდარ ზურუქი და მე. აფხაზეთში საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. 1992 წლის პირველ ნოემბერს რუსებმა მოულოდნელად სოხუმის შუქურის გვერდით განთავსებული რადიოტექნიკური პოსტი დატყვეს, რომლის დანიშნულება საზღვაო აკვატორიაზე რადიოტექნიკური კონტროლი იყო. ეს მაშინდელმა აკუსტიკური ინსტიტუტის დირექტორმა ვლადიმერ შელიამ შვედეთში ტექნიკური დათვალბებების შემდეგ, საგუმავო მე ჩაებარე, როგორც რადიოტექნიკურმა სპეციალისტმა. თავიდან პირადი შებადგენლობა არ მჭყვდა, ვახტაზე მარტო ვიდექი და დახმარებას მიწვდენენ ვლადიმერ შელია და აზორ გვაგასალა. შემდეგ შემომიბრდნენ — ბეჟან სიჭინავა, ვალერი კვანტლიანი, ვლია სიგუა, ქიშვარი ნარსია, გენა დონელოიანი, მამია ცხვარაძე, სოსო ვაჯულიანი, ანატოლი ფიცხალავა (დაიღუპა 1993 წლის 24 ივნისს საარტილერიის დაბომბვის დროს).

— რა ზღებდა ამ დროს სოხუმში? ოქვენც გვსდრდნენ?

— დაიხ, დროგამოშვებით ერთხელ მიწინააღმდეგის არტილერიამ გაგვისხნა ცეცხლი და ერთი ყუბმარა აკუსტიკური ინსტიტუტის ერთ-ერთ შენობას მოხვდა. იყო ასეთი შემთხვევაც, როცა ჭურვი გვერდით მოსახლის ქვოს დაეცა და ქალი მოკლა. მეტწილად ჭურვები გადაფრენით მაინც ზღვაში ვარდებოდა. სროლები მხოლოდ მაშინ შწყვეტეს, როცა ყუბმარა რუსი მესაზღვრეების ტერიტორიაზე (ჩვენგან 150 მ-ში იდგნენ) ჩაყარდა და ერთი მესაზღვრე მოკლა, მეორეს კი ფეხი მოსწყვეტა.

— საპასუხო ცეცხლის გახსნის საშუალება არ გქონდა?

— არა, ჩვენი მოვალეობა მხოლოდ საზღვაო აკვატორიაზე ტექნიკური მეთვალყურეობა და ოპერატიული მორეგისტრის ვითარების დროული მოხსენება იყო. მოვანებებით, როცა ვითარება მეტად დაიძაბა, რამდენჯერმე ხან ტანკი მოგვამარგეს, ხანაც — „ბმპ“. ის ბომბობები უთანასწორო იყო, არავინ დაობს, მაგრამ იყო ისეთი ფაქტები, როცა ქართულმა თავმოქმედობამ საუკლავო შედეგამდე მიგვიყვანა. არც ის უნდა დავიფიქსოთ, თუ ვინ გვეომბობა სინანდლები.

ერთ შემთხვევას გვიხსენებ: ნოემბრის პირველ ნახევარში, ვახტის გახსნის შემდეგ, რადიოლოკატორის ეკრანზე სოხუმის ყურეში ორი

მოზრდილი წერტილი დაფიქსირებული. ოპერატიულმა მორიგემ სოსო დვედარიანმა დამიზუსტა, რომ რუსეთის სასაზღვრო ზომადგები (ПСКР) იყენენ. ერთ-ერთ ზომადგს მკრიალი, თითქმის შეუმჩნეველი წერტილი მოსცვლიდა და მორისკენ გაემართა. შემდეგ კი ისევ პირველთან დაბრუნდა. მარშრუტი რამდენჯერმე გაიმეორდა. შემდეგ ეს „წერტილი“, ანუ სამიზნე ქალაქისკენ წამოვიდა. რაც უფრო ახლოვდებოდა, მით მკაფიოდ გასარჩევი გახდა, რომ კატარა იყო. სატვირთო პორტთან ზღვაში დაყენებულ ტრეტიკას დასვალეთიდან შემოიარა, პორტში შეყარდა და ორჯერ HYPC-ი გაისროლა. აფეთქების ხმა მკვეთრად ისმოდა. ჩემ მიერ მიწოდებული მონაცემებისა და მითითებული სექტორის მიუხედავად, მესინგალმა სინგულმა კატარას ვერ ხედავდნენ. კატარა პორტიდან გამოვიდა და ნაპირს ცეცხლი ისევ HYPC-ებით გაუხსნა. ამის შემდეგ მესინგალემაც დაინახეს. მეორე დღეს გაირკვა, რომ კატარადან სახელმწიფო აგარაკს მისროდნენ. იქ მამის სახელმწიფო მინისტრი გოგა ზაინდრაგა იყო დაბინავებული. რამდენიმე გასროლის შემდეგ კატარა გუდაუთისკენ წავიდა. დაფიქსირებული პელენგები და დისტანციები რუკაზე დაკვირვებულ. ეს იყო ნეხკა-ს ტიპის წყალქვეშა ფრთიანი კატარა. იმ პერიოდში ზღვა უპატრონოდ იყო მიტოვებული. არადა, სოხუმელი მეზღვაურები მუდმივად ითხოვდნენ, შეიარაღებული გემი ან კატარა მოგვეციოთ, მაგრამ 1993 წლის იანვრამდე არაფერი შეცვლილა. აფხაზები, უფრო სწორად კი რუსები, ზღვაზე ისე დადიოდნენ, როგორც მოკრიანებოდათ. ხშირად „სტუმრობდნენ“ ტამიშს, რომელიც ტყვარჩელთან ახლოს არის.

— ტამიშის დესანტის გადმოსხმაზე გვაიმეო?

— 1993 წლის პირველ ივლისს ვახტა ჩვეულებრივ მშის ჩასვლის შემდეგ გავსენით. 21 საათსა და რაღაც წუთებზე, რადიომეტრისტმა ვალერი კვანტალიანმა ორი სანაოსნო ერთეული აღმოაჩინა. რა თქმა უნდა, ეს მამინეე მოხსენდა საარმიო კორპუსის შტაბის ოპერატიულ მორიგეს. ყოველ ათ წუთში მოხსენებები კეთდებოდა. როცა 00 სთ-სა და 00 წთ-ზე რადიომეტრისტი შეიცვალა და ვახტაზე გურამ დანელია მოვიდა, მან სანაოსნო ერთეულზე თვალთვალი იქამდე გააგრძელა, ვიდრე სქურჩის მიმართულებით არ გაუჩინარდნენ. ჩვენ მიერ

მიწოდებული სრული ინფორმაციის მიუხედავად, რატომ ვერ მოახერხეს მათთვის წინააღმდეგობის გაწევა და როგორ დაადგა თავს ასე მოულოდნელად ჩვენს ნაწილებს მოწინააღმდეგის დესანტი, დღემდე არ ვიცი.

— თქვენ რა ვერსია გაქვთ?

— არანაირი ვერსია არა მაქვს. რამდენიმე დღეში ჩემთან ერთი ახალგაზრდა ლეიტენანტი მოვიდა, შუაგარდნაში სპეციალური საგამოძიებო ჯგუფიდან, და მოხუცა მისთვის სრული დოკუმენტაცია შეჩვენებინა. რა თქმა უნდა, საგაზტო ჟურნალი ვაჩვენე. გაღათვალისწინებით შემდეგ ამონაწერი გავუკეთე, დაუემოწმე და გადავიცი. არც მამისა და არც შემდეგ რადიოტექნიკური საგუშავოს პირად შემადგენლობასთან კითხვები არავის გასწავნი?

— როდის დაიბაბა ვითარება?

— როდესაც 1993 წლის 27 ივლისიდან ქართულ-აფხაზურმა მხარეებმა ცეცხლი შეწყვიტეს, მეორე დღიდან 16 სექტემბრამდე, ხელშეკრულების დარღვევამდე, შვედილობანი ცხიზრება დაიწყო. ყველას ვგონა, რომ ომი დამთავრდა. მძიმე ტექნიკა, არტილერია, ტანკები გატანული იქნა. შემდეგ რა მოხდა და როგორ, საყოველთაოდ ცნობილია. როდესაც საომარი მოქმედებები განახლდა, ცხადი შეიქნა, რომ მძიმე შეიარაღების გარეშე ქალაქი დიდხანს ვერ გაძლებდა.

— თქვენ საგუშავო როდის დატოვეთ?

— ჩვენმა დაჯგუფებამ, რომელიც ოჩამჩირეთთან იდგა, ჩვენს დასახმარებლად წავიდა. რადიოლოკაციური საგუშავოს პირადი შემადგენლობა 26 სექტემბრამდე ავაცილზე



სოხუმის შუქურა, რომლის მახლობლადაც მდებარეობდა საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების რადიოტექნიკური პოსტი

რუსი მესაზღვრეების ორამიორის ბრიგადის საპატრულო კატარღები აფხაზთა მცურავი საშუალებები მუდმივად ეზმარებოდნენ



იმყოფებოდა. 26 სექტემბერს 21-20 სთ-ზე საგუშაგოს დატოებისა და პირადი შემადგენლობის სამშვიდობოს გაყვანის ბრძანება მივიღე. ეს ადვილი არ იყო, რადგან გადაადგილების ტექნიკური საშუალება არ გექონდა. დიდი წვალების შემდეგ პირადი შემადგენლობა სიფეღ მერხეულში გადავიყვანე, თვად კი მეორე დღეს შუადღეს სოხუმში დაებრუნდი. სოხუმი უკვე იცლებოდა — ქალაქიდან მიუდინებოდა ხალხის უზარმაზარი ნაკადი. ზოგი ფეხით, ზოგიც ტრასპორტით ცდილობდა სამშვიდობოს გასვლას. ჩვენი კორპუსის შტაბი იყო სინოპში. შტაბში მისვლამდე გზაში შეეხვდი გენერალ ზაურ უჩაძეს, რომელიც ავტომატით ხელში წინა ხაზისაკენ მიემართებოდა.

„წინა ხაზზე მიდიხართ“-მეთქი, „ასე საჭირო“, — მიპასუხა. ამ დროისთვის მოწინააღმდეგეს ნახევარი ქალაქი უკვე აღებული ჰქონდა. მათ შორის, ფუნიკულიორიც, სადაც ტელეცენტრი იყო და ბესლეთის ორივე ხიდის გაკონტროლება და ჩაეჭრა შეეძლოთ, მაგრამ ხალხს მასზე გადასვლის საშუალება მისცეს.

შტაბში საზღვაო ძალების სარდალ ალექსანდრე ჯავახიშვილს შეეხვდი, რომელსაც სამი ოფიცერი: ბესიკ შენკელია, რობერტ მალანია და ვლადიმერ ჩანუაე ახლდა თან. სარდალს მოვახსენე, რომ ხალხი გაყვანილია და განკარგულებებს ველოდები-მეთქი.

— შტაბში პანიკა იყო?
— პანიკა არა, უთავიბა — კი. შტა-

ბის წინ უამრავ ადამიანს შრეკება მაცხადია, ზოგი შეიარაღებული იყო, ზოგიც უიარაღო. მაგრამ არაფერს გამოიხდნა ისეთი, ვინც მათ ორგანიზებას მოახდენდა და საბრძოლოდ წაიყვანდა. შტაბში თვალი მოეკარი ირაკლი ბათიაშვილს, ნოდარ ნათაძესა და სხვებსაც. ომში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, დაბნეულობაც და აჩორგანიზებულობაც, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ყველაფერი მოწინააღმდეგის ზემოქმედების შედეგად კი არა, ქართული თავმოყმეულობის გამო ხდებოდა. ხან პროდუქტების ნაკლებობა იყო, ხანაც საწვავის დეფიციტი, მაგრამ სიტუაციას განსაკუთრებით მამინდელი ტელევიზორები ამძიმებდა, ნებისმიერი საბრძოლო ოპერაციის შესახებ ტელევიზიით გადმოსცემდნენ. ერთი სიუჟეტი მახსოვს, აფხაზეთის ფრონტზე საკეპების, ტყვია-წამლისა და საწვავის მარაგი არ არსებობსო. ერთხელ თქვეს, გუმისხით ფრონტზე საწვავი არ არისო, რაც სრული სიმართლე გახლდათ. ეტყობა, მოწინააღმდეგემ არ დაიჯერა ეს ინფორმაცია, თორემ ამ ინფორმაციულ „შედევრს“ შეიძლება დიდი უბედურება მოჰყოლოდა. არაფერს ვამბობ დუბაში სატურისტოდ მოხიერებებზე.

ერთი სიტყვით, სინოპის შტაბიდან სარდალმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა საექსპედიციო გემ „ვექტორზე“ გამგზავნა, როგორც მისი წარმომადგენელი. ეს იყო 27 სექტემბერს. სადამოს კურსი ორამიორისაკენ ავიღეთ და ქალაქი უკანასკნელად გავიხეე. მოაერობის სახლი წითელი ცეცხლით იწვოდა. დღემდე თვალწინ მიდგას ცეცხლის შუქზე წითლად განათებული ცა. 28-29 სექტემბერი ორამიორეში გუატიარეთი, სადაც ჯერ კიდევ ქართული ჯარები იდგნენ. 29 სექტემბრის სადამოს საზღვაო ძალების სარდალი და მისი სამშტაბო ჯგუფი „ვექტორზე“ ამოვიდა, ორამიორე დეგრეფოთა გვედით ზღვაში და კურსი ფოთისკენ ავიღეთ. 30 სექტემბრის 00-30 სთ-ზე პორტ ფოთში შევედი.

გლავი პაპანკირი

სოხუმის რადიოტექნიკური პოსტის მთავარი დანიშნულება საზღვაო აკატორიაზე ტექნიკური მეთვალყურეობა და მე-2 საარმიო კორპუსის ოპერატიული მორიგისთვის ვითარების დროული მოხსენება იყო



სკეზიარალი პოლიტიკოსების სლიკვიდახიოთ



უკანასკნელ დროს პოლიტიკური მკვლევლების თმა ძალზე აქტუალური გახდა. ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის შესაძლო ფიზიკური ლიკვიდაციის ოპერაციაზე ბევრი დაიწერა და, ალბათ, კიდევ ბევრი დაიწერება. აქ მთავარია რეალური საფრთხე გამოვლინება, რომლის მიზანი ამ ლიდერის პოლიტიკური აქტიუობის (უპირველესად რევიონებში ხალხმრავალი მიტინგების ჩატარების) შესუსტებაა.

პოლიტიკური მკვლევლები უკვე სამწუხარო რეალობაა. თვე არ გავა, რომ მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში შეკვეთილი მკვლევლების მსხვერპლი არ გახდნენ პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ბიზნესმენები თუ სახელმწიფო მოხელეები. სამწუხაროდ, ოპონენტთან ბრძოლის ამ ბინძურ მეთოდს ხშირად იყენებენ სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები.

ლიკვიდაციის ოპერაციების დელიკატურობიდან გამომდინარე შესრულების იარაღიც განსაკუთრებული და უჩვეულო უნდა იყოს. ამიტომ სპეციალურად რომელიმე კონკრეტული ოპერაციის შესასრულებლად სპეცსამსახურების საიდუმლო ლაბორატორიებში მზადდება იარაღი, რომლის ფორმა და ტექნიკური მახასიათებლებიც ჩვეულებრივისგან ძალზე განსხვავდება.

დღი ბრიტანეთის კონტრადაზვერვის (MI-5) ინფორმაციით, დღეს მსოფლიოში 60-ზე მეტი მწიფეობის სახის

ცეცხლსასროლი იარაღი უკვე არსებობს. ის შეიძლება იყოს: მიზილური ტელეფონი, ავტოკალამი, ბუკლეი, სიგარეტი, ბრელოკი, ქალის ხელჩანთა და ა.შ. თანაც გასათვალისწინებელია, რომ თუ ადრე ფარული ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება კუსტარული დამზადების გამო, მწელი არ იყო, ამჟამად ეს უკვე შეუძლებელია.

ეს უჩვეულო იარაღი სპეცსამსახურებს პოლიტიკური მკვლევლებისთვის სჭირდებათ ამჟამად მხოლოდ ზოგიერთ ქვეყნის სპეციარდასა და მათი გამოყენების შემთხვევებზე მოცხობრობით.

ციანიდის პისტოლეტი

პოლიტიკური მკვლევლები და ტერორისტული აქციები საბჭოთა კავშირის ფარული საგარეო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად რჩებოდა. ამას დასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის 50-იანი წლების შუახანებში საბჭოთა პოლიტიკურში კავებებს ემიგრანტული ორგანიზაციების (უპირველესად უკრაინული) ლიდერების: გიორგი ოკოლოვისის, სტეპან ბანდერას და ლევ რუბეტის ფიზიკური ლიკვიდაციის დაჯავლება გასცა.

საერთაშორისო სკანდალის თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებული ყურადღება „სპეცილისხიების“ შესრულებისას იარაღს დაეთმო, რათა მკვლევლობა მაქსიმალურად ბუნებრივი ყოფილიყო.

1954 წლის თებერვალში კავებებს ოპერატიულ თანამშრომელს, კაპიტან ნიკოლაი ხოხლოვს ანტისაბჭოთა გამოსვლებით ცნობილი ემიგრაციის ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ოკოლოვისის ლიკვიდაცია დაეკალა.

ოპერაციისთვის კავებებს საიდუმლო იარაღის ლაბორატორიაში დამზადდა მინიატიურული პისტოლეტი, რომელიც სივარეტის კოლოფში იყო მოთავსებული. დაჯავლების შესასრულებლად დასავლეთ გერმანიაში გამგზავრებული კაპიტანი ვეფლასთვის მოულოდნელად მომავლ მსხვერპლს — ოკოლოვისს შინ ესტუმრა და ვეფლავერში გამოუტყდა.

მავე წლის 20 აპრილს პრესკონფერენციაზე ხოხლოვმა საიდუმლო ლაბორატორიაში დამზადებული იარაღი საგაროდ წარადგინა.

ამ ფაქტმა დიდი საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია, თუმცა, საბჭოთა ხელმძღვანელობა დიდად არ შეუშფოთებია, პირაქით, კავებებს ახალი მკვლევლები შეუკვეთა.

დასავლეთ გერმანიაში მოქმედი უკრაინის ნაციონალური ორგანიზაციის ლიდერების ლიკვიდაციისთვის სპეციალურად შეიქმნა კოლოფი, 25 წლის უკრაინელი ბოვდან სტამინსკი, რომელიც ამ დროისთვის კავებებს კოლოფის განყოფილების ფარული თანამშრომელი იყო. სათანადო შემოსებისა და სპეციალური მომზადების შემდეგ



მისურების შემდეგ შხამი სასუნთქ გზებში ზედხვრება და მსხვერპლს სისხლძარღვების ძლიერი შევიწროება ეწვევება, რაც სპაზმებს და რამდენიმე წუთის შემდეგ სიკვდილს იწვევდა.

შხამიანი აირი ორთქლებდა და კვალს არ ტოვებდა. ტერაქტის შემსრულებლები თავდასხმის წინ იღებდა სპეციალურ აბებს, რათა შხამიზგანდაცული ყოფილიყო.

ტუნსაცხში ჩადგმული ერთჯერადად 4,5 მმ-იანი პისტოლეტი

ამ აირის გამომგრევე იარაღის მნიშვნელოვანი თავისებურება ის იყო, რომ სისხლძარღვები ძალაზე პირვანდელ ფორმას უბრუნდებოდნენ და სიკვდილის ნამდვილი მიზეზის დადგენა გამოცდილ პათოლოგანატომსაც კი გაუჭირდებოდა.

უბრთხილით მოვლას!

საყოველთაოდ ცნობილია ორი ბულგარული დისიდენტის — გიორგი მარკოვის მკვლელობის და ვლადიმერ კოსტოვის მძიმედ დაჭრის ფაქტები.

ცნობილი ბულგარელი მწერალი და შემდგომ დისიდენტი, ბულგარეთის კომუნისტური ლიდერის ტოდორ ჟუკოვის რეჟიმის მთავარი კრიტიკოსი გიორგი მარკოვი ინგლისში ემიგრაციაში ცხოვრობდა და ბი-ბი-სის რუდაქციაში მუშაობდა.

მის ლეკვიდაციაში ბულგარელებმა კა-გა-ბეს დახმარება სთხოვეს. მთავარი ამოცანა იყო თავიდან აეცილებინათ საერთაშორისო სკანდალი და სიკვდილი მაქსიმალურად ბუნებრივი ყოფილიყო.

თურქეთის სწრაფად დაიგეგმა და შესრულდა. მოვლენები კი ასე ვითარდებოდა: საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტმა ვაშინგტონში დემიტრი იაკუშკინმა რამდენიმე ქოლგა შეიძინა და მოსკოვში გაგზავნა.

იქ სპეცაპარატორიის „ვადოქრებმა“ ქოლგის თავზე ქინძისთავის ზომის საჩხვლები დაამონტაჟეს. ქოლგით ჩხვლების შემდეგ შხამშემცველი მინიკაფუსულა სხეულში აღწევდა და ორ-სამ დღეში მსხვერპლი „იკვლავდებოდა“.



სასიკვდილო ინექციით აღჭურვილი ქოლგა

მისი კანდიდატურა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ც.კ.ში განიხილეს და დამტკიცეს.

1957 წლის 13 ოქტომბერს მიუნხენის გაზეთები ცნობილი უკრაინელი ანტი-საბჭოთა მოღვაწის, ლევ რებეტის მოულოდნელ გარდაცვალებას იწყებოდნენ, ხოლო დიაგნოზი „გულის მწვავე უკმარისობა“ იყო.

ხუსტად ორი წლის შემდეგ იმავე ქალაქში ასევე მოულოდნელად იმავე დიაგნოზით უკრაინის ეროვნული მოძრაობის ლიდერი სტეფან ბანდერა გარდაიცვალა.

ორივე მკვლელობის შემსრულებელი ბოგდან სტამისიკი 1962 წლის შემოდგომაზე დასავლეთ გერმანიაში ფარულად გადავიდა და ჩადენილი დანაშაული აღიარა.

ორივე შემთხვევაში ინტერესს იწვევს ის იარაღი, რომელიც კა-გა-ბეში სპეციალურად ამ „სპეცდონისიძიებისათვის“ დამზადდა.

ეს იყო მცირე პარამეტრების მსუბუქი ლითონისაგან დამზადებული ცილინდრის ფორმის ორი ძალი (წონა — 200 გ, დიამეტრი — 0,75 სმ, სიგრძე — 7 სმ), რომლის „ვაზნას“ ჰერმეტიკულად დახუფული პლასტიკური ამპულა წარმოადგენდა. ვაზნა კი უფერო და უსუნო ციანიდის შხამით იყო დატენილი.

ღილაკზე ხელის დაჭრით ძილში ციანიდის ამპულა სკვდებოდა და თხევადი შხამის ჭველი გამოიფრქვეოდა. მსხვერპლისგან დაშორება 45 სმ-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. სახეში



ავტოკალამი — ფოტოაპარატი



talizi

თმის გაღანარების მანერა

ბაჰანგონი 27, ბაღ: 2141515
www.talizi.ge



სახვარულ დროს იღებება ან შეწყობილი დიდი ხნით გამოდის.

პოლიტიკური მკვლევლების თავიდან აცილება სახელმწიფო სტრუქტურების უპირველესი მოვალეობაა, თუმცა ამავე დროს თავად პოლიტიკურ პარტიებსაც განსაკუთრებული ყურადღება მოეთხოვება.

ვევლახე დიდი პრობლემა კადრე-

ბომბი, რომელიც გარეგნულად ქვანახშირისგან არ განსხვავდება და მისი დასაშინადებელი მასალები; ხელთათმანში ჩადგმული პისტოლეტი



ამ იარაღით 1978 წელს მარკოვი ლინდონში მოკლეს, ხოლო რადიოსადგურ „თავისუფალი ევროპის“ კორესპონდენტი ვლადიმერ კოსტოვი პარიზში დაჭრეს. მისი გადარჩენა ფრანგმა ექიმებმა მოახერხეს.

პოლიტიკური მკვლევლების ტაქნიკა პიუზაძე

2000 წლის ოქტომბრის წვიმიან საღამოს ამსტერდამის პოლიცია ნარკოტიკებით მოვაჭრეთა აღმდგომო სამალავს წააწვდა. პოლანდელებს პა-შიშოთა და ოპოუმით ვინ გააკვირვებს, თუმცა პოლიციელები ნანახმა მანაც განაკვივრეს.

ქარხნული წესით დაფასოებულ ნარკოტიკებთან ერთად მათ უცნობი მარკის მობილური ტელეფონი აღმოაჩინეს, რომლის გვერდით ერთი შუბედვით ჩვეულებრივი ბრელოკი ეკლ.

მსოფლიოში ამ ფაქტმა სენსაციის გამოიწვია, რადგანაც ტელეფონიც და ბრელოკიც მანამდე უცნობი ცეცხლსასროლი იარაღი აღმოჩნდა.

ურდოსთან უთანხმოება მოუვიდა. 1391 წელს თოხთამიში პირველად რუსეთის ტრამალებზე დაამარცხა, მეორედ კი 1395 წელს სხლია მდინარე მტკვართან და მოსკოვიც აიღო.

ამასობაში სპარსეთში ამოხუბა დაიწყო. თემურლენგი სპარსეთში დაბრუნდა და გაუგონარი სისასტიკით შეუდგა ამოხუბის ჩაქრობას, — ქალაქები ცეცხლს მისცა, დახოცილთა ძელების გროვები დააყენა მიულ ქვეყანაში. ამის მერე ინდოეთს გაემურა და დელის შემოქცყო. ისე გაასწორა მიწასთან, რომ ქალაქს აღსადგენად საუკუნე დასჭირდა.

ინდოეთში ყოფნისას შეიტყო, რომ ევგიპტის მამლუქთა სულთანსა და თითქმის მათი სულთან ბააზინი 1-ს მის ტერიტორიებზე ლაშქრობა დაეწყით.



მონღოლი ცხენოსანი მეომარი



ახლა უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომი!


სამართველს ისტორიის ოთხტომეული
უპველად დროიდან XX საუკუნის გოლომად

„ეკვირის პალიტრასთან“
ერთად თვეში ერთხელ
თითო ტომი



2-დან 9 ივლისამდე
გომი III

XIII-დან XIX საუკუნეამდე



ნიჟის
სამედიკოლო
მუზეუმი
9 დღი



იმონიე სამართველს
ისტორია ზენს თაროჯი!

1399 წელს მათი დახვდა გადაწყვიტა. 1401 წელს თემურლენგმა სირიაში მამლუქთა ჯარები დაამარცხა და დამასკოს მცხოვრებნი გაუღიბა. ამის მერე ბაღდადს შეესია ოციათასკაციანი ჯარით და ქალაქი მიწასთან გაასწორა. მომდევნო წელს ოთომანთა არმიას სძლია ანკარასთან და თაყისი სამშელობელი ხმელთაშუა ზღვაზე გააფართოვა, როლისის მეუფეს კი სმირნა (თანამედროვე იზმირი) წარსტაცა.

თემურლენგი სამარეანდში დაბრუნდა. მართალია, უკვე 68 წლის იყო, მაგრამ 1404 წელს ჩინეთის დამორჩილება განზრახა. 1405 წლის თებერვალში აუღა გუზდა და თირარში (თანამედროვე ჩიმენტი, ყაზახეთი) გარდაიცვალა. მისი ცხედარი დააბლზამეს და სამარეანდში

გადასვენეს, სადაც დღემდეა დგომალული გურამირის მუზოლეუმში.

მისი იმპერია მისივე შვილებმა და შვილიშვილებმა დინაწილეს. უმცროსმა ვაჟმა შაჰრუჰმა სასტიკი ბრძოლით გააერთიანა მამის დანატორი და ვველა მტოქე ულმობლად გაანადგურა.

თემურლენგის იმპერიამ XVI საუკუნემდე შეინარჩუნა გუგუნა. მისი მუქკედრები იყენენ ინდოეთის დიდი მოვოლები.

მიღრამილვაპა სისხლის ღვრისკენ

● 1398 წლის 25 სექტემბერს თემურლენგმა იბი ვაღლაზა იმ საბაბით, რომ დელის მამაქადიანი მმართველები თეიანი ინდოელ ქვეშევრდომებს ზედმეტი შემწეარებლობით ექციედნენ. 1398 წლის 17 დეკემბერს ანეიპატის ბრძოლის შემდეგ მან ტვევდ ჩაერინილი 100000 ინდოელი ჯარისკაცი გაუღებრა ბრძანა. ამის მერე დელის მცხოვრებთა სასკლოი მოაწყო, გაანადგურა ქალაქი და ალაფად ვველაფერი წილი, რისი ტარუბაც კი მისმა ჯარისკაცებმა შეღლეს. ცხრამეტი სპილოც კი დაატვევა, რომელთაც დიდი ქუბი წაწაზიდნა სამარეანდში ახალი მქეთის ასაშენებლად.

● სანამ თემურლენგი ინდოეთში იყო, ოთომანთა სულთანმა ბაიზიდი I-მა ანატოლია დაიპყრო. 1400 წლის აგვისტოში თემურლენგი დასვლეთისკენ დაიძრა და მტრის ლაშქარს ანკარასთან ბრძოლაში, 1402 წლის 20 ივლისს შეხვდა. ბაიზიდის თურქმენი ვასალები თემურლენგის მხარეს გადავიდნენ, ამიტომ სულითან ჯარს მტრისა აღემატა. ბაიზიდი დაატვევეს, 1403 წლის ის სატუსალოში გარდაიცვალა.


მოამზადა
ღვანე ინასარიჰჰმ

მონღოლთა ჯარი
ღაშქრობის დროს



პარაშუტები ტექნიკის დასანტირება

ვაგრამლეზა. დასაწყისი იხ.
„არსენალი“ N8-13, 2012



ვიეტნამის ომში ამერიკელები შორეულ ბაზებსა თუ ავანპოსტებზე ტყვია-ძაღლისა და სხვადასხვა ტვირთის მისატანად ტექნიკის უპარაშუტო დესანტირებას ხშირად მიმართავდნენ. გარდა ამისა, სისტემა LAPES-ის (ტვირთის უპარაშუტო დესანტირება, როცა მხოლოდ გამოსაწიში პარაშუტი გამოიყენება) დახმარებით სატრანსპორტო თვითმფრინავის C-130-ის ბორტიდან M551 Sheridan-ის ტიპის ტანკის დესანტირებაც ხდებოდა.

ამ მეთოდს აშკარა უპირატესობა აქვს და საიმედოა. მას დიდი პარაშუტი არ სჭირდება და რაც მთავარია, მისი გამოყენება დესანტირებისთვის მოუხერხებელი ისეთ ადგილებშიც შეიძლება, როგორცაა გზები, დიდი მდინდენი, მდინარეებისა და ზღვების გაშლილი თუ სწორი ნაპირები.

ვიეტნამში მსგავსი მეთოდით ტვირთის დესანტირებისთვის „კერკულეების“ გარდა, იყენებდნენ C-123-ის ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებს. სწორედ ამ თვითმფრინავის შექმნაში შეიტანა დიდი წვლილი ქართველმა გამომგონებელმა მიხეილ გრიგორაშვილმა.

1946 წელს სამხედრო პლანერებზე მოქმევე ამერიკულმა ფირმა Chase-მა ახალი პლანერის — XCG-20-ის პროექტირებას შეუდგა. ფირმის მთავარი კონსტრუქტორის მოადგილის, მიხეილ გრიგორაშვილის (მაიკლ გრეგორი) გადაწყვეტილებით ძრავების დაყენებით მისი თვითმფრინავად გადაკეთდა შეიძლება.

მიხეილ გრიგორაშვილი დაიბადა 1888 წლის 6 თებერვალს დაღესტანში, ქალაქ დერბენტში. პეტერბურგში გაიზარდა დასრულების შემდეგ, 1906 წელს მოსკოვის გზათა მიმოსვლის საინჟინრო ინსტიტუტში ჩააბარა. მალე ის ავიაციამ გაიტაცა, ზოლო 2 წლის შემდეგ პირველი რუსული საიმპერატორო აეროკლუბის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა. 1910 წელს მისი მონაწილეობით პირველი რუსული მონობლანი Россия Б შეიქმნა.

გრიგორაშვილი საფრენი აპარატების პილოტირებას სწრაფად დაეუფლა და ცოდნის ასამაღლებლად საფრანგეთში პილოტის საფრენის სკოლაში გაეჭაუნეს, სადაც 1911 წელს პილოტის მოწიობა მიიღო.

1915 წელს გრიგორაშვილმა პეტროგრადში ცნობილ საავიაციო ფირმა „მელცერში“ მთავარი კონსტრუქტორის თანამდებობა დაიკავა.

ხელისუფლებაში პოლშეიკების მოხელის შემდეგ სამუშაოდ თბილისში გზათა მიმოსვლის სამინისტროში გადავიდა, მაგრამ მალე ემიგრაციაში, აშშ-ში წასვლა აპოვიანდა და სახელგანთქი იქაურებისთვის უფრო გასაგები მაიკლ გრეგორით შეცვალა.

1935 წელს ლონგ-აილენდში ფირმა Gregor Aircraft-ი დააარსა, მაგრამ საქმე არც ისე კარგად წაუვიდა და 1944 წელს რუსი კონსტრუქტორის, მიხეილ სტრუკოვის Chase Aircraft-ში მთავარი კონსტრუქტორის მოადგილედ გადავიდა. სწორედ აქ დაიწყო გრიგორაშვილმა დიდი სადესანტო პლანერზე მუშაობა, რომელიც შემდგომ მიხეილ ინოციატეფით ორბრავიან სატრანსპორტო თვითმფრინავ C-123-ად გადაკეთდა.

მრავალგზამათიანო სისტემაში

მართალია, ამერიკელებმა დაბალი სიმაღლეებიდან უპარაშუტო დესანტირების სისტემა პირველად გამოიყენეს, მაგრამ ტექნიკის დესანტირების სხვა მეთოდებისა თუ შედეგანტეებისთვის საჭირო ტექნიკის ავტორობა მათ არ ეკუთვნით.

სსრკ-ისგან განსხვავებით ამერიკაში დღესაც თავდაცვის უწყების განკარგულებაში მყოფი 82-ე და 101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიები არბობის დაქვემდებარებაშია და აშშ-ის საჰაერო-სადესანტო ჯარები ცალკეული გვარეობის სახით არ ჰყავს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სსრკ-ში სადესანტო ჯარებმა სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა და მიხედნენ, რომ ტექნიკის მხარდაჭერის გაუმჯობესებაში პარაშუტისტების კურსორდებოდათ.



მიხეილ გრიგორაშვილის შექმნილი სამხედრო-სატრანსპორტო C-123 ეტენაში აქტიურად გამოიყენებოდა

დაიწყო მდენსატრეებისთვის საეცი-ალური ტექნიკის შექმნა და პირველი 57 მმ-იანი ქვეშეითი შეიარაღებული ACY-57-ის ტიპის თვითმავალი საარტილერიო დანადგარი იყო.

3350 კგ-იანი დანადგარი უმეტესად AH-12-ის ტიპის სატრანსპორტო თვითმფრინავს გადაჰქონდა და საეცი-ულურად ამისთვის სადენსანტო პლატფორმა П-127 შეიქმნა.

აფრენის წინ ACY-57-ს პლატფორმაზე აყენებდნენ, სახელდახელოდ აბამდნენ და სატვირთო სალონში თვითმფრინავის ტელეფერით შეჰქონდათ. თვითმფრინავიდან გადმოკლებების შემდეგ, გამომჰყობი პარაშუტი პლატფორმაზე დამარგებულ ოთხ ძირითად გუმბათს ხსნიდა და დაშვებაც მათი დახმარებით ეკიპაჟის გარეშე მიმდინარეობდა. თავად პლატფორმა რაღი-

შუქურით იყო აღჭურვილი, რაც დაშვების შემდგომ ძებნას აპარტეზებდა.

დესანტირებისას მანქანა საბრძოლო კომპლექტითა და საწვავით სრულად იყო შევსებული. დაშვების შემდეგ ინდივიდუალური პარაშუტებით დესანტირებული ეკიპაჟი ACY-57-ს პლატფორმიდან 4-10 წი-ში ხსნიდა.

57 მმ-იანი ქვეშეითი და ACY-57 მალე მოძველდა და ის 85 მმ-იანი ქვეშეითი აღჭურვილმა ACY-85-მა შეცვალა. შედარებით უკეთესი საცეცხლე შესაძლებლობათა მიუხედავად, მდენსატრეებს სულ სხვა ტექნიკა სჭირდებოდათ.


1969 წელს საბჭოთა პარაშუტისტებმა მდენსატრეთა საბრძოლო მანქანა БМД-1-ის ექსპლუატაცია დაიწყეს.

მდენსატრეების მსოფლიოში პირ-

ველმა საბრძოლო მანქანამ შედარებით დიდი მასის გამო (7200 კგ) დესანტირებისთვის ახალი სისტემის შექმნა მოითხოვა, სადაც პირველი საფეხური ახალმა პლატფორმამ დაიკავა. ცვლადი კლირენსის წყალობით მდენსატრეთა მანქანა სადენსანტო პლატფორმაზე თვისი სვლით შედიოდა და კლირენსის შემცირებით მასზე ფსკრით ვდებოდა. ამ მდგომარეობაში მას პლატფორმაზე აბამდნენ, თვითმფრინავში ტვირაჟდნენ და დესანტირებისთვის 4-6 გუმბათიანი სისტემას იყენებდნენ. ეკიპაჟი თვითმფრინავს ცალკე ტოყედა და დაშვების შემდეგ БМД-ს ძებნას იწყებდა.

საპარაშუტო სისტემისგან საბრძოლო მანქანა ავტომატურად თავისუფლდებოდა, მაგრამ პლატფორმიდან მისი მოხსნა ეკიპაჟს ევალებოდა. ამაში დიდი დრო იხარჯებოდა, რასაც ბრძო-

საწვავითა და სრული საბრძოლო კომპლექტით დესანტირებულ ACY-57-ის პლატფორმიდან მოხსნას, 4-10 წი სჭირდებოდა





უპლატფორმო სისტემის უპირატესობის მიუხედავად, მრავალკუმბათიანი სისტემის გამოყენებისას, БМД-ის დესანტირება უეკიპაჟოდ ხდება

მოდიფიკაცია — ПБС-925
 დესანტირების სიმაღლე — 300-1500 მ
 დესანტირებადი ტვირთის მასა — 13000 კგ
 გუმბათების რაოდენობა — 12

ლაში შეიძლება გადამწვევტი როლი ეთამაშა.

საპარაშუტო სისტემათა განვითარების მომდევნო ეტაპს სისტემა ПБС-915 Шельф-ი წარმოადგენდა. БМД-1-ისთვის შექმნილი სისტემის უპირატესობა ტექნიკის უპლატფორმოდ დესანტირებაში მდგომარეობდა, ანუ პარაშუტები უშუალოდ მანქანაზე მაგრდებოდა.

დესანტირებადი ტვირთის წონიდან გამომდინარე (მაქს. დასაშვები მასა 8500 კგ), სისტემა 9 პარაშუტზე იყო გათვლილი და ერთ სატრანსპორტო Ил-76-ს სამი მანქანის დესანტირება შეეძლო.

БМД-2-ის შემთხვევაშიც დესანტირებისთვის ПБС-915 გამოიყენება. თუმცა შეიარაღებაში ახალი БМД-3-ის მიღებამ ახალი საპარაშუტო სისტემის შექმნა განაპირობა. ითქმის 13 ტ-იანი მასის გამო, ახალი ПБС-925 Шельф-2 უკვე 12 გუმბათისგან შედგება.

დესანტირება რამპტიული ავირლით

ორვე სისტემის შემთხვევაში, მანქანების დესანტირება ეკიპაჟის გარეშე ხდება და ძების გასამარტვებ-

ლად სისტემას რადიოშუქურები აქვს, თუმცა, მანქანა ეკიპაჟისგან შეიძლება 150-200 მ-ის მოშორებით დაშვას და ამიტომაც 70-იან წლებში სსრკ-ში ახალ სისტემაზე დაიწვეს მუშაობა. ამერიიდან ნებისმიერი ტიპის სადესანტირო მანქანის დესანტირება საბძოლო კომპლექტთან ერთად ეკიპაჟიანად უნდა მომხდარიყო.

ასეთი უპლატფორმო სისტემა ПРСМ-915 შეიარაღებაში 1976 წელს მიიღეს. მას სხეებისგან განსხვავებით მხოლოდ ერთი პარაშუტი (ფართობი 540 მ²) და დაშვების სინქარის შესამცირებელი რაკეტული ძრავები აქვს.

პაერში ჩამოგდებდან 12 წმ-ის შემდეგ შექანიკური მიწვობილობა სპეციალურ, ქვეით ვერტიკალურად მიმართულ ტელეკოპურ ჭოკებს შლის და დაშვებისას მიწას პირველად ჭოკები (მაქს. სიგრძე 14,4 მ) ჭება. შტებისას ელექტრული წრედი იკრება, რეაქტიული ძრავები ირთვება და დაშვების საპირისპიროდ მიმართული წვეის ძალა დაშვების სინქარუს 16-23 მ/წმ-დან 0,5-2 მ/წმ-მდე ამცირებს.

ტექნიკის სახეობიდან გამომდინარე, რეაქტიული საპარაშუტო სისტემებიც განსხვავებულია. БМД-1 და БМД-2-ებზე — ПРСМ-915, ხოლო შედესანტეთა ჯეჟმანტრანსპორტიორ БТР-Д-ზე ПРСМ-925 გამოიყენება.

დღეს რუსეთის სადესანტო ჯარების შეიარაღებაში თანამედროვე БМД-4 და 120 მმ-იანი ტანკსწინააღმდეგო ქვევებით აღჭურვილი Спрут-СД შეედის, მაგრამ ამ ეტაპზე მათი დესანტირების საშუალებები შექმნილი არ არის.

ალმანანდრო ავამიძე

(გარტელება შემდეგ ნომერში)



ერთ ჯერზე Ил-76-ს სამი БМД-ის დესანტირება შეუძლია



ირანის ავიაკონსტრუქცია

გასული თვის მიწურულს ირანი კვლავ მოვლენათა ეპიცენტრში მოექცა და ამჯერად მიზნები ქვეყნის საჰაერო ავიაცია გახდა. სახმელეთო ჯარების სარდლის, ბრიგადის გენერალ კიომარს პეიდარის განცხადებით, ქვეყანა სამამულო წარმოების შეუქმდფერენებას გამოშვებას შეუდგა ამერიკული Cobra-ების კოპირების გზით. შვეულმფრენის ზოგიერთი სისტემა ამერიკულ „აპახსიკ“ კი უახლოვდება.

მწელი სათქმელია, საფუძვლიანი თუ არა ეს განცხადება. თუმცა, ცხადია, ბოლო ათწლეულში ირანი საკუთარი ავიამრეწველობის შექმნას აქტიურად ცდილობს.

ამ ამბიციური პროექტის ზორცმესხმა ირანმა გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, 1986 წლიდან კი მუშაობა დაიწყო ავიამრეწველობის შესაქმნელად. ამ გარემოებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, მთავარი ისლამური რეჟიმის შემდგომ აშშ-ის საჰაერო მხარდაჭერის გარეშე დაზარალებული ქვეყნისთვის თვღაცვისუნარიანობის ამაღლება იყო.

საავიაციო მრეწველობას ირანში საფუძვლი 1966 წელს ჩაეყარა. მაშინ სპეციალურად ჩამოყალიბებულ ორგანიზაციას (IAIO) ავიამრეწველობის განვითარების პერსპექტიული მიმართულებების შემუშავება დაეკავა.

დღეს მის შემადგენლობაში ხუთი საავიაციო ორგანიზაციაა: Iran Aircraft Manufacturing Industries Corporation (დაარსდა 1974 წელს), PANHA ანუ Iran Helicopter Support and Renewal Company (დაარსდა

1969 წელს), სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი GHODS-ი (80-იანი წლები); HESA (დაარსდა 1970 წელს) და Shahid Basir (დაარსდა 1987 წელს).

ირანელთა მუშაობის ნაყოფი მსოფლიომ 1997 წელს იხილა, როცა გამანადგურებელი Azarakhsh-ი („ელვა“) პირველად აფრინდა. მის შექმნაზე ერთდროულად ორი კომპანია — Iran Aircraft Manufacturing Industrial-ი და HESA — მუშაობდა.

რა თქმა უნდა, მსოფლიო საკუთარ რუსურსებზე დაყრდნობით ირანი ამ პროექტს ვერ განახორციელებდა, ამიტომ „ახალი ველოსიპედის“ გამოკონსტრუქციის არსებული საშუალებები მაქსიმალურად გამოიყენა, რითაც Azarakhsh-ი ამერიკულ F-5-ს ძალიან დაემსგავსა.

პირველი პროტოტიპი ორადგილიანი იყო და ამერიკული „ორიგინალისგან“ განსხვავებით შეცვლილი ფორმის ჰაერმომღებლები ჰქონდა. მოვიახვებით თვითმფრინავის ერთადგილიანი ვარიანტიც შექმნეს. არსებული ინფორმაციით, Azarakhsh-მა მოდერნიზაციის სამი ეტაპი გაიარა.

თვითმფრინავის მახასიათებლებსა (მათ სიზუსტეზე ლაპარაკი მწილა) და მის შეფუთვზე ბევრი არაფერია ცნობილი. არსებული ცნობებით, თვითმფრინავის შექმნაში რუსებიც მონაწილეობდნენ. მასზე „ტოპსის“ ტიპის რადიოლოკაციური სადგურია დაყენებული. საპაირო სამზინების გარდა, მას სახმელეთო მიზნების განადგურებაც შეუძლია.

ძრავებთან დაკავშირებული პრობლემების გამო პროექტი რამდენჯერ-

მე შეჩერდა. 2007 წელს თეირანსა და მოსკოვს შორის PD-33-ის ტიპის 50 ძრავის მიწოდებაზე ხელშეკრულება გაფორმდა. იმავე წლის ზაფხულში პირველი სერიული თვითმფრინავი ააწვეეს. დღემდე აწეობილი Azarakhsh-ების ზუსტი რაოდენობა უცნობია.

ირანმა ახალ გამანადგურებელზე მუშაობა განაგრძო და ბაზად კი ისევ ამერიკული F-5 აიღო. ახალი Saeqeh-ი („მების დარტყმა“) გამანადგურებელ-გზაგადამკრულის კონცეფციით აიწყო. მის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი და სხვადასხვა წყაროში მოყვანილი მახასიათებლებიც ერთმანეთს არ ემთხვევა.

თვითმფრინავის ცეხირა ნაწილი კამინის ჩათვლით ვიზუალურად Azarakhsh-ისგან თითქმის არ განსხვავდება. ძირითადად, პლანერის ცენტრალური და კუდა ნაწილები შეიცვალა. ყურადღებას იქცევს V-სებრი ფორმის ორი კლივი.

მათი Saeqeh-ი ამერიკულ საგემბანო F/A-18-ს ძალიან დაემსგავსა. ამ უკანასკნელსაც კილბო ანალოგიური ფორმით აქვს დაყენებული. მსგავსებას რომ თავი დაეხრებოთ, ირანელი სპეციალისტების მტკიცებით, მათი ქმნილება „პორნეტს“ არაფრით ჩამოუკარგება. ეს მწელი დასაჯერებელია, რადგან თავის კლასში „პორნეტს“ ყველაზე სულეყოფილია და ამერიკელები მის მოდერნიზაციაზე მილიარდებს ხარჯავენ. ნაკლებსაყარაოა, რომ სამხედრო ავიაციაში ირანმა ასეთი დიდი თანხები დააბანდოს.

სამხედრო Shaded 285 ირანულმა სამოქალაქო შვეულმფრენის გადაკეთებით შექმნეს



Saeqeh-ის ფორმას რომ თავი დაეხედოთ, მისი შეფერილობა ამერიკული საპოლიტიკო გუნდ Blue Angels-ის ანალოგურია, თანაც ისინიც „ჰორნეტებზე“ დაფრინავენ.

თვითმფრინავი ჰაერში პირველად 2004 წლის ივლისში აფრინდა, ხოლო მესამე წელს პირველი სერიალი ნიმუშები აიწყო. ამ უკანასკნელს რუსული PD-33-ის ტიპის ძრავები აქვს, ელექტრონული შიგთავსისა და კატაპულტირებადი საჰაერო შესასხები კი სრულ ინფორმაციას არ ახმაურებენ.

არსებული მონაცემებით, დღეს სულ 8 თვითმფრინავი აწეობდა და კიდევ 24 ცალის დასრულება იგეგმება. 80-იანი წლების დამლევი სამხედრო მფრინავების მოსამზადებლად ირანში სასწავლო ორადგილიანი რეაქტიული თვითმფრინავის შექმნა გადაწყვიდა. უცხო ქვეყანაში შეძენას (საჭირო თანხის არსებობის შემთხვევაშიც კი ნაკლებსაყარაულოა, მაშინ ირანისთვის რომელიმე ქვეყნას თვითმფრინავები მიჰყვება) ისევ საკუთარი რესურსების გამოყენება ამგობინეს.

პირველი პროტოტიპი, სახელად Dorna, 1995 წელს აფრინდა და სამი წლის შემდეგ მას გაუმჯობესებული Tondar-ი მოჰყვა. გამოცდისას კონსტრუქცია შეიცვალა და 2001 წელს ასე განჩნდა შირიჯი ვაირანტი JT2-2 Tazan-ი („არწივი“), რომლის საჯარო დემონსტრირება მომდევნო წელს გამართულ ავიამოსზე შედგა.

Azarakhsh-ისა და Saeqeh-ისგან განსხვავებით, ორადგილიანი თვითმფრინავი ირანულმა საკვალინისტებმა შექმნეს. ირანულ „არწივის“ სახარგებლო დატვირთვა უცნობია, თუმცა, სამხედროების მტკიცებით, მისი გამოყენება მსუბუქი მოიხარშედა შეიძლება. რა თქმა უნდა, თვითმფრინავების

რაოდენობა, ასევე, ძრავებისა და სხვა აღჭურვილობის შესახებ მონაცემები უცნობია. 2002 წლის გეგმაში 25 თვითმფრინავის გამოშვება ჰქონდათ დაგეგმილი, მაგრამ ნაკლებსაყარაულოა, ირანულმა მისი ხორცშესხმა შეძლონ, — თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროში ირანი ჩამორჩენილ სახელმწიფოდ ითვლება და თვითმფრინავების დასამზადებელ რიგ ავრეგატებსა თუ კვანძებს სხვა ქვეყნებში ყიდულობს. ერთ-ერთი მათგანი უკრაინაა, რომელიც ირანთან ავიაციის სფეროში რამდენიმე წელია თანამშრომლობს. 1995 წელს სახელმწიფოებს შორის AH-140-ის ტიპის თვითმფრინავის ლიცენზირებულ წარმოებაზე ხელშეკრულება გაფორმდა და 2000 წელს ირანში პირველი თვითმფრინავი აფრინდა.

ირანმა მხოლოდ დეტალების 30%-ს აწარმოებენ, დანარჩენ 70%-ს, მათ შორის — ძრავებს, შასისა და ელექტრონიკას უკრაინაში ყიდულობენ. თუმცა, იმ 30%-ის წარმოებაც სათანადო აღჭურვილობასა და ცოდნას მოითხოვს.

თვითმფრინავის ლიცენზირებული ვარიანტი Iran-140, რომლის ბაზაზე საზღვაო-საპატრულო (Iran140MP) და სამხედრო-სატრანსპორტო (Iran140T) ვერსიები მზადდება.

ირანი დიდი ხანია შეუვლდებინების წარმოებასაც ეჭვიდება. მისი სამხედრო მფრინავი პარკაც შობამგებდგავია. მხოლოდ 1971 წელს აშშ-სგან AH-1J ტიპის 202 დამრტყმელი შვეულმფრენი მიიღო. დღეს მწყობრში 100 ერთეულია და სათადარიგო ნაწილების გამოშვებაც მოხერხდა.

საკუთარი რესურსებით შეუვლდებინების წარმოების ამბიცია ირანს მიეღო ხანია აქვს. პირველად ეს ჯერ კიდევ ირან-ერაყის ომის დროს სცადა. 1986-87 წლებში ამერიკული Bell

206-ის ბაზაზე ირანულმა საკუთარი შვეულმფრენის შექმნა დაიწყო და ამერიკელების გზით წვიდნენ, ანუ დამრტყმელი მოდიფიკაცია მრავალმიზნობრივი სატრანსპორტო შვეულმფრენის გადაკეთებით შექმნეს, ისევე როგორც ამერიკულმა „აროკეტის“ გადაკეთებით „კობრა“ მიიღეს.

ახალი შვეულმფრენი Zafar-300-ის გამოცდა 1989 წელს დაიწყო და 1990 წლამდე გაგრძელდა. ამასობაში ომი დამთავრდა და აპარატზე მუშაობაც შეწყდა.

Zafar-300-ს ტერმინი „დამრტყმელი შვეულმფრენი“ ძველად მიესადაგება. ფორმით უფრო მაკეტს ჰგავს, ვიდრე რეალურ საფრენ აპარატს. შეიარაღება ერთი 6-ლულიანი ტყვიამფრეკვეთსა და უმართავი რაკეტების გამშვები ორი (7-7 თითოში) ბლოკისგან შედგება.

შვეულმფრენის გამოცდა მალე შეწყდა და ერთადერთი პროტოტიპი დარჩა, ხოლო მიღებული გამოცდილება ახალი პროექტის საფუძვლი გახდა.

მწელი სათქმელია, რა იყო ხანგრძლივი პაუზის მიზეზი — უსახარობა თუ პრიორიტეტების შეცვლა, მაგრამ ახალი შვეულმფრენის დემონსტრაცია მხოლოდ 2009 წელს შედგა.

Shaded 285 (შარმბოგული HESA) ამერიკული მრავალმიზნობრივი Bell 206-ის ბაზაზე შექმნილი. ამ უკანასკნელის პლანური მნიშვნელოვან შეიცვალა, მაგრამ ძრავა, რედუქტორი, მშიდი და კუდა ზრანხები უცვლელი დარჩა.

„ბელის“ სამგზავრო სალონის ადგილას საბრძოლო „შპკვებზე“ საწვავის აუზები განთავსეს. შვეულმფრენი ერთადგილიანია და უცნობია, იცავს თუ არა მისი პილოტს ჯავშანი. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ვეფარაულო, რომ

კაბინის ფარის გვერდითი მინები არ არის დაჯგუფებული.

შეიარაღების სახით საბაზო Shahed 285-ზე კაბინის წინ უძრავად ერთი GRN-ს ტყვიამფრეკვეი, გარე საკაბეზე კი — უძრავი რაკეტების ორი გამშვები ბლოკი უყვება.

მწელია Shahed 285 დამრტყმელ შეუღლმფრენთა კლასის მიაკუფონი, რადგან არც სათანადო სისტემები და არც შეიარაღება აქვს, მაგრამ არ უნდა დაჯგუფდეს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი — თითქმის სრული იზოლაციისა და მაკოპლექტებული დეტალების უქონლობის პირობებში მსგავსი შეუღლმფრენის შექმნა კი ირანისთვის უღვრად დიდი წარმატებაა.

თერანი Shahed 285-ის წარმოებას ორ ვარიანტში აპირებს. არმიულ AH-85A-ს საბაზო ვარიანტისგან განსხვავებით ტყვიამფრეკვეი მოძრავ ტურულიმ აქვს დაყენებული. მეორე მოდიფიკაცია კი, AH-85C, საზღვაო დანიშნულებისაა და კაბინის წინ ტყვიამფრეკვის ნაცვლად სარადიო სისტემა აქვს, ხოლო შეიარაღებად ორ Kowsar-ის (ფრენის მანძილი 15-20 კმ, საბრძოლო სიბრძნე 29 კგ) ან რვა Sadi-1-ის ტიპის ზომადღსწინააღმდეგე რაკეტას ატარებს.

არსებული ცნობით, სულ ექვსი შეუღლმფრენი აიგო. ძრავების მოწოდებაში არსებული პრობლემების გამო Shahed 285-ის წარმოების საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია.

ახალი საფრენი აპარატების წარმოებასთან შედარებით, ირანის ავიასრე-მონტო მრეწველობა უფრო სილადურია. თერანას დიდი ხანია ათთვისა აშშ-ში შექმნილი თვითმფრინავების — F-4-ის, F-5-ის, F-14-ის, C-130-ისა და შეუღლმფრენების, მათ შორის — „ჩინუკების“ რემონტი. დღეს ირანი საჭირო სათანადიგო დეტალების 90%-ს თვითონ ამზადებს.

შეუღლმფრენებისა და თვითმფრინავების გარდა ირანი ეკრანოპლანებსაც ქმნის. ამ ტიპის საფრენი აპარატები წყლის ან სხვა სწორი ზედაპირის თვზე რამდენიმე მეტრ სიმაღლეზე დაფრინავენ. საერთაშორისო კლასიფიკაციით, ეკრანოპლანებს საზღვაო ზომადღებს მიაკუთვნებენ, თუმცა, ამწვეი ძალის წარმოსაქმნელად ისინი მცირე ფრთებს იყენებენ.

ამჟამად ირანის განკარგულებაშია Bavar-2-ის ტიპის ეკრანოპლანების სამი ესკადრილია. მომცრო საფრენ აპარატს ერთი ძრავა აქვს და ორკაციანი ეკიპაჟი ემსახურება. მისი დანიშნულებაა საზღვაო აკვატორიების

დაზვერვა, აღჭურვილია ერთი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრეკვეითი საუკვირა, ამ ეკრანოპლანმა რომელიმე საზღვაო სამიზნეს წინააღმდეგობა გაუწიოს, მაგრამ ერთი დიდი უპირატესობით მაინც სარგებლობს, — ფრენის დაბალი სიმაღლის წყალობით რადარებისთვის მწელად აღმოსაჩენია.

საკმაოდ საინტერესოა ირანული უპილოტოებიც. მათ შექმნაზე თვითრანი 80-იანი წლებიდან მუშაობს. ყველაზე გაერველებული Ababil-ის ტიპის აპარატია. შედარებით თანამედრველ მართვის სისტემების გამოყენებით მას წინასწარგანსაზღვრულ მარშრუტზე ფრენა შეუძლია. ამორიების შესაძლებლობის შემდეგ მოცემულ წერტილში ავტომატურად ბრუნდება და მისწვე პარაშუტი ეშვება. დასახული ამორიანიდან გამომდინარე, მისი აღჭურვა დელამის ფოტო და ვიდეოკამერებით, ასევე სითბოიზომრებით შეიძლება.

Ababil-ი რამდენჯერმე სუდანსა და ლიბანში დაფოქირდა, ხოლო ათამდე აპარატი „ჰესბოლას“ აქვს. ლიბანში და დაბალ სიმაღლეზე შემოფრენილი უპილოტოების ტერორისტული აქტებისთვის გამოყენება შეიძლება, რაც ისრაელის შოფოიოებას იწვევს.

სხვათა შორის, ირანული უპილოტოების შექმნაში დიდი როლი ითამაშა აშშ-მ, როცა 70-იან წლებში თერანს უამრავი Firebee-ის ტიპის მფრინავი სამიზნეები გადსცა.

კიდევ ერთი საინტერესო ირანული ქმნილებაა „უპილოტო ბომბდამყენი“ Karar-ი („შმტყვი“). ირანული სამხედროების მტკიცებით, მას 1000 კმ-ზე ოთხი ფრთისანი რაკეტისა და ორი ბომბის ტარება შეუძლია. ეს საკმაოდ თამამი განცხადებაა. არსებული ინფორმაციით, „შმტყვის“ სასარგებლო დატვირთვა მხოლოდ 230 კგ-ია, რაც მას ორი 115 კგ-იანი ბომბის წაღების საშუალებას აძლევს.

თავის დროზე ამერიკელებმა ირანელებს რამდენიმე ათეული MQM-107 Streaker-ც მიჰყიდეს და სახეებით შეამატებლათ, ირანელებმა ეს მფრინავი სამიზნე საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენეს.

Karar-ი რეაქტიული ძრავით აღჭურვილი უპილოტო საფრენი აპარატია, რომელიც ირანელებმა ფიუზელაჟის ქვეშ ბომბი დაუკიდეს. შესამლებელია უახლოეს მომავალში სასარგებლო ტვირთი უშუალოდ Karar-ის შიგნით მოთავსდეს. ასეთ შემთხვევაში კი თერანი სახმელეთო ბაზირების ფოროსან რაკეტას მიიღებს.

არის კიდევ ერთი საინტერესო ნიუანსი, — ირანული Karar-ი რუსულ ДАН-ის ტიპის მფრინავ სამიზნეს ძალიან ჰგავს, მხოლოდ კუდის ფრთისხმულობა აქვს სხვაგვარი, — ორიკაციანია. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ Karar-ის შექმნაში რუსების ხელი ურყვია.

ალექსანდრო ავაშიძე



ირანული წარმოების ეკრანოპლანი



გომბორიდან ნაღირაჰის რაკეტებს თეირანი, ბაღდადი და ანკარა უნდა გაენადგურებინათ

საბარაჯოს რაიონიდან. გომბორიდან ალექსანდრე ნაღირაჰის ბირთვულყოზინიანი ბალისტიკური ტემპ-С-ები ახლო აღმოსავლეთა იყო დაიგინავაზული

„ჩვენ სამი დღეობინის ერთი ზალპით ანგარებინან გომოსელისთანავე გაენადგურებთ თურქებს, ირანსა და ერავს, სასწრაფოდ გადავალთ სათადარიგო რაიონში, იქ თულავის შვეულმფრენები ვაზიანიდან ახალ რაკეტებს ჩამოგვიტანენ და ბირთვულ ზალპს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებისკენ გაუშვებთ“, — ეს კომმარულ სინმარში ნანახი არ გვეონოთ, ეს

სიტყვები ეკუთვნის პოლკოვნიკ ხუკაულენკოს, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში, კერძოდ, სვარეჯოს რაიონში, გომბორში დისლოცირებულ 119-ე სარაკეტო ბრიგადის მეთაურობდა. ეს შექარა მაშინ საბჭოთა პოლკოვნიკს შეიძლება კახური ჭაჭის მორიგი ულუფის შემდეგ წამოსცდა, მაგრამ ფაქტია, რომ იმ პერიოდში მისი ბრი-

გადის შეიარაღებაში არსებულ ტემპ-С ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკურ რაკეტებს ეს მართლაც შეეძლოთ.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში 119-ე სარაკეტო ბრიგადის ჩამოყალიბება 1971 წლის 1-ლი დეკემბრიდან დაიწყო და მისი საბრძოლო ამოცანა საბჭოთა კავშირის სამხრეთით მოსაზღვრე ქვეყნებზე (მათ შორის — NATO-ს წევრ თურქეთზე, ასევე ირანსა და ერაყზე) შესაძლო ბირთვული სარაკეტო დარტყმების მიყენება იყო.

გომბორის სარაკეტო ბრიგადის შესაიარაღებლად აქცენტო თავიდანვე გაკეთდა მობილურ სარაკეტო დანადგარებზე.

მანამდე საბჭოთა კავშირის სამხედრო ოლქების სარაკეტო შეიარაღებაში, ძირითადად, P-5 ტიპის ბალისტიკური რაკეტები იყო, რომლებიც პირველად აღჭურვეს ბირთვული ქობინებით ლევენდარული საბჭოთა კონსტრუქტორის, კიორილიოვის P-5-ები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოსკოვმა მალულად ბურლინიდან 80 კმ-ში, ტყეში განათავსა. აქედან ოთ-



გომბორში 12 ასეთი სარაკეტო დანადგარი იმყოფებოდა საბრძოლო მზადყოფნაში

ხი ბირთვულქობინიანი ბალისტიკური რაკეტა — ინგლისზე, რვა კი პარბსა და ბრუსელზე იყო დამზნებული.

კორილივის P-7 ტიპის უზარმაზარი საკონტინენტური რაკეტისგან განსხვავებით, P-5 (და მისი მოდერნიზებული ვარიანტი P-5M) ძვირად მსუქუქი და შედარებით ადვილი გადასატანი იყო.

მიუხედავად ამისა, P-5M-ს ვერ დაერქმეოდა მობილური სარაკეტო კომპლექსი, რადგან მის სასტარტო პოზიციებზე დაყენებას და თხევადი საწვავით გაწვობას საათები სჭირდებოდა.

60-იან წლებში საბჭოთა კავშირში შეუდგნენ მობილური მყარსაწყვავიანი სარაკეტო კომპლექსების შექმნას, რომლებსაც ოპერატიულად შექმლებოდათ ბალისტიკური რაკეტების გამშვება, სასტარტო პოზიციის დატოვება, ახალი რაკეტებით აღჭურვა და სათადარიგო რაიონიდან ახალი სარაკეტო ზალკების გამშვება.

1965 წელს საბჭოთა არმიამ შეიარაღებაში მიიღო ტემპ-ს ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსი, რომლის მთავარი კონსტრუქტორი ჩვენი თანამემამულე ალექსანდრე ნადირაძე გახლდათ. ნადირაძემ შემოღო მყარსაწყვავიანი ორსაფეხურიანი 9,3 ტ მასის ბალისტიკური რაკეტის განთავსება ოთხღერძიან, ბორბლიან გამწვებზე, რითაც პირველმა მსოფლიოში შექმნა სერიულად წარმოებული მობილური სარაკეტო კომპლექსი. მოგვიანებით სწორედ ოპერატიულ-ტაქტიკური ტემპ-სის მოდერნიზაციის შედეგად ალექსანდრე ნადირაძის თაოსნობით კონსტრუირებულ იქნა საშუალო სიშორის სარაკეტო პიონერ-ები და საკონტინენტური სოლისო ტოპოლ-ები.

თუმცა, დაგუბრუნდეთ ტემპ-სებს, რომლებიც რამდენიმე წელში უკვე საგარეჯოს რაიონის გზებზეც გამოჩნდნენ. 119-ე სარაკეტო ბრიგადა გომბორის უღელტეხილზე განთავსდა. ჩანს, ამაღლებული ადგილი შეთხვევით არ შეურჩევიათ, ისევე როგორც აზლომდებარე ტყეები, სადაც 12 მ სივრძის სარაკეტო დანადგარის დაბალა შექმლით.

119-ე სარაკეტო ბრიგადების შეიარაღებაში ტემპ-სის 12 სარაკეტო დანადგარი ირიცხებოდა, 4 ცალი თითოეულ დღეშიონში. მათი სამიზნეები საგარეულო მონიადალდგვის სტრატეგიული ობიექტები, მათ შორის დედაქალაქებიც იყო.

საკმე ის არის, რომ ამ პერიოდის

ბალისტიკური რაკეტები არ გამოირჩეოდა დიდი სიზუსტით და მიზნიდან „საგარეულო აცილების წრე“ რამდენიმე კმ-საც კი შეადგენდა.


თუკი ბალისტიკური რაკეტა ჩვეულებრივი მსხვერვად-ფუგასური ქობინით იყო აღჭურვილი, მაშინ მიზნისგან 2-3 კმ-ით აცილება მართლაც დიდი პრობლემა იყო, რაკეტაზე ბირთვული ქობინის დაყენებით კი ასეთ აცილებას უკვე დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა.

119-ე სარაკეტო ბრიგადის ტემპ-ს-ების მიზნისგან „საგარეულო აცილე-

ბის წრის“ რადიუსი 3-3,5 კმ-ს შეადგენდა, თუმცა მჭიდროდ დასახლებულ ქალაქში 3 კმ-ით იქით თუ აქით ჩამოვარდება ბირთვული ქობინი, დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს.

გომბორის რაკეტები აღჭურვილი იყო 300 კილოტონა ტროტილის აფეთქების ეკვივალენტი სიმძლავრის ბირთვული AA-19 ტიპის ქობინებით. ამ სიმძლავრის ბირთვული აფეთქება, რომელიც 15-20-ჯერ აღემატებოდა პიროსიმასა და ნაგასაკიმო აფეთქებული ამერიკული ატომური ბომბების სიმძლავრეს, გადარჩენის შანსს ნაკლებ

მერაკეტოთა გათვლა ტემპ-ს-ს 9,3-ტიპიან ბალისტიკურ რაკეტას სტარტისთვის აშხადებს





AA-19 ტიპის 300 კილოტონა ტროტილის სიმძლავრის ბირთვული ქობინი, რომელიც Temp-C-ზე ეყრდნობა

ბად უტყუებდა იმ ქაღალქების მცხვერებით, სადამდეც საგარეჯოს რაიონიდან გაშვებული რაკეტა მისწვდებოდა.

უშუალოდ გომბორიდან 119-ე სარაკეტო ბრიგადის Temp-C-ებს მაქსიმალურ 950 კმ-ს რადიუსში შეეძლოთ ბირთვული სარაკეტო დარტყემების მიყენება ირანის დედაქალაქ თეირანზე, ერაყის დედაქალაქ ბაღდადზე და მის-წვდომოდნენ NATO-ს წევრი ორქეთის დედაქალაქის, ანკარის აღმოსავლეთ გარეუბნებს.

თუკი, გომბორულ მერაკეტებს არაუარ უშლიდა სწრაფ მარმ-ნახტომს (მობილური სარაკეტო დანადგარები ხომ სწორედ ამ მიზნით შეიქმნა) საქართველოსა და შესაბამისად, მაშინდელი საბჭოთა კავშირის სამხრეთ საზღვრამდე: ახალციხე-ახალქალაქის რაიონში, საიდანაც მათი ბირთვულქობინიანი რაკეტები იოლად სწვდებოდნენ, როგორც ანკარას, ისე NATO-ს უმნიშვნელოფანეს სტრატეგიულ ობიექტს ორქეთში — ინჯირლიყის სამხედრო-საკაერო ბაზას, სადაც იმ პერიოდში ატომური ბომბების მატარებელი ამერიკული „ფატომები“ იყო განთავსებული, რომელთა სამიზნეები საბჭოთა კავშირის სამხრეთ ფლანგზე, მათ შორის საქართველოში განთავსებული სტრატეგიული ობიექტებიც იყო და შეიძლება საგარეჯოს რაიონში დისლოცირებული 119-ე სარაკეტო ბრიგადაც.

თუკი 119-ე ბრიგადის მეთაურობა მონილომებდა, მათ რვაბორბლიან Temp-C-ებს გომბორიდან აჭარის ტყეებამდე რამდენიმე საათში შეეძლოთ

წადწევა, საიდანაც ბალისტიკური რაკეტები უკვე ბოსფორის სრუტემდეც კი მიაღწევდნენ. ბოსფორის სრუტის ჩაკეტვა საკაერო ბირთვული აფეთქებით NATO-ს მოუსაბოდა საშუალებას ზმელამუა ზღვიდან შუე ზღვაში ავი-ამზიდები და სარაკეტო ხომალდები შემოეყვანა.


ასე უნდა, პოლკოვნიკ ზუკალენკოს სამხინელი აზრები მარტო ქართული ჭაჭის დამსახურება არ ყოფილა, უბრალოდ, კახელების მირთმეულმა „საყვარულმა“ სითხემ 119-ე სარაკეტო ბრიგადის მეთაურს ის წამოაოოშინა, რაც მოსკოვიდან გომბორში გაგზავნილი ზესაიდუმლო ბრძანებებში ეწერა.


119-ე ბრიგადას სულ ცოტა აკლდებოდა, რომ მათ ბირთვულქობინიან რაკეტებს ისრაელამდე, მაშინდელი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მთავარ მტრამდე მიეღწია საქართველოს ტერიტორიიდან.

სომხეთში დისლოცირებული მე-7 არმიის შემადგენლობაში ირიცხებოდა 176-ე სარაკეტო ბრიგადა, მაგრამ მის შეიარაღებაში მხოლოდ 300 კმ რადიუსის მქონე P-17 ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი 9K72 მონრეც-ის ტიპის სარაკეტო კომპლექსები იყო, რომლებიც, რა თქმა უნდა, ისრაელამდე ვერ მიაღწევდნენ (სხვათა შორის, ეს სწორედ ის „ელბრუსებია“, რომლებიც სომხეთის განკარგულებაში დარჩა და 2011 წელს — ერევნის, ხოლო 2012 წლის 9 მაისს კი თვითაღიარებულ ყარაბაღში სტეფანაკერტის ადლუმებზე გამოიტანეს).

აზერბაიჯანში დისლოცირებული

ნადირაბის Temp-C მოსკოვში, წითელ მოედანზე ადლუმის დროს. იმავე პერიოდში ანალოგიური სარაკეტო დანადგარები კახეთის ტყეებში „იმალებოდნენ“ ...





ჩ3960 დონი: ალექსანდრე ნადირაძის შექმნილი გაზრდილი სიშორის ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსი 9K76 Temp-C (NATO-ს კლასიფიკაციით SS-12A SCALEBOARD-A) ოთხღერძიან, რვაბორბლიან MA3-543A ტიპის გამწვანებულ დამონტაჟებულ ორსაფეხურიანი 9M76 ტიპის ბალისტიკური რაკეტის ნაერთია. რაკეტის მასა დაახლოებით 9300 კგ-ია, საიდანაც 528 კგ ქობინზე მოდის. ქობინი შეიძლება იყოს როგორც მსხვერვად-ფუგასური, ისე ბირთვულიც. რაკეტის ფრენის მაქსიმალური სიშორე დაახლოებით 950 კმ-ია. სარაკეტო კომპლექსის დამხმარე ტექნიკის (სატრანსპორტო ავტომანქ., ქობინის შემნახველი და ა.შ.) რაოდენობა რვას აღწევს.

მე-4 არმიის სტრუქტურაში შედიოდა 136-ე სარაკეტო ბრიგადა, რომელიც ასევე 9K72 მლხრს — ის კომპლექსებით იყო შეიარაღებული.

საქართველოს ტერიტორიაზე, გომბორის გარდა, კიდევ ერთი, 90-ე სარაკეტო ბრიგადა იყო დისლოცირებული, შაუმიანში. ამ ბრიგადის, ისევე როგორც 176-ე (სომხეთი) და 136-ე (აზერბაიჯანი) სარაკეტო ბრიგადების „ელბრუსებს“ მხოლოდ მაქსიმალურ 300 კმ რადიუსში შეეძლო ოპერატიულ-ტაქტიკური დონის საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტა, მათ შორის ბირთვული ქობინების გამოყენებით.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ გომბორის სარაკეტო ბრიგადის სა-

იდუმლო საბრძოლო ამოცანაში შეიძლება ისრაელის ბირთვული დაბომბვაც შედიოდა, ოღონდ სომხეთის უკიდურესი სამხრეთ ნაწილიდან.

გომბორიდან მარშით ერევნისკენ დამრული Temp-C-ის კომპლექსებს დაახლოებით 150 კმ არ ყოფილა, რომ რაკეტას სომხეთი-თურქეთის საზღვრიდან ისრაელამდე მიეღწია. საბჭოთა კავშირის ოფიციალური განცხადებით, რაკეტის სარაკეტო კომპლექსის Temp-C-ის შექმნაზე, რომლის ბირთვულქობინიან ბალისტიკურ რაკეტას უკვე მაქსიმალური 1100 კმ-ის დაფარვა შეეძლო.

1983 წლის ჩათვლით გომბორში


განთავსებული 119-ე სარაკეტო ბრიგადა საბჭოთა კავშირის ვეულაზე გრძელად „სარაკეტო ბირთვული ხელკეტი“ გახლდათ სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რომლითაც მოსკოვის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, ირანსა და NATO-ს წევრ თურქეთს ემუქრებოდა.

1984 წელს 119-ე სარაკეტო ბრიგადა მოულოდნელად გომბორიდან გერმანიაში საბჭოთა ჯარების დაჯგუფების შემადგენლობაში გადაისროლეს.

როგორც ჩანს, ეს გამოწვეული იყო „ცვი ომის“ ვეულაზე დამატებითი მოქმედებით, როდესაც ამერიკელებმა დაახლოებით გერმანიაში დააყენეს „პერშინგის“ ტიპის საშუალო სიშორისის მოქმედების ბალისტიკური რაკეტები,

შეიტხველი ალბათ ვაკატიებს ამ ისტორიული ფოტოს დაბალ ზარისს — 1988 წ., მსოფლიოს წამყვანი ტელეკომპანიები დეტალურად იღებენ გერმანიიდან გომბორის 119-ე სარაკეტო ბრიგადის გამოსვლის საზეიმო ცერემონიალს





გომბორიდან რუსეთში
გადაბარებული 119-ე
სარაკეტო ბრიგადა
Точка-У-ებზე
გადაიარაღეს

ტექნიკურად მოძველებული **Луна-М** ტიპის ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსები დაახვედრეს. „ლუნაც“ პირველი ქობინის მატარებელი იყო, მაგრამ ბევრად მცირე მანძილზე, მხოლოდ 70 კმ-მდე. ამით, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად დაეცა გომბორის 119-ე სარაკეტო ბრიგადის საბრძოლო შესაძლებლობები (ოვი ბუერად ნაკლები გახდა, ვიდრე შაუმიანში დისლოცირებული 90-ე სარაკეტო ბრიგადისა, რომელიც „ვლბრუსებით“, დასავლეთის კლასიფიკაციით კი „სკადებით“ იყო შეიარაღებული), თუმცა, მაშინ ამას ყურადღებას აღარავინ აქცევდა, რადგან საბჭოთა კავშირი ბოლო დღეებს ითვლიდა. 1992 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლიდან რამდენიმე თვეში, 119-ე სარაკეტო ბრიგადამ დატოვა დისლოკაციის ადგილი გომბორსა და რუსეთში, სერდლოვის ოლქში, ქ. ელანსკოში გადაბარდა.

რუსეთში 119-ე ბრიგადის შეიარაღება განაახლეს და მას მოძველებული **Луна-М**-ების ნაცვლად იმ დროისთვის შეტ-ნაკლებად თანამედროვე ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების 9К79-1 **Точка-У**-ს ტიპის სარაკეტო კომპლექსები გადასცეს.

უცნობია, მონაწილეობდა თუ არა გომბორიდან გადასული 119-ე სარაკეტო ბრიგადა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოსკენ **Точка-У**-ის რაკეტების გამოშვებაში. საერაულოდ, არა, რადგან სარაკეტო ზღაპებს ჩრდილო კავკასიაში დისლოცირებული 1-ლი და 464-ე სარაკეტო ბრიგადები ახორციელებდნენ. ამჟამად 119-ე სარაკეტო ბრიგადის განკარგულებაში **Точка-У**-ს სამუშაო 12 დანადგარი და ცხრა **P-145M** ტიპის სამეთაურო-სამტარბო მანქანაა.

ირაკლი ალადაშვილი

გერმანიიდან „შობლიურ“ გომბორში დაბრუნებულმა სამხედრო ნაწილმა დაჭრილი **ТМП-С**-ების ნაცვლად მორალურად მოძველებული **Луна-М**-ები მიიღო შეიარაღებამო

რომლებსაც მოსკოვში, კრემლამდე მისაღწევად მხოლოდ ათიოდე წუთი თუ სჭირდებოდათ.

„გომბორლებმა“ გერმანიაში ოთხი წელი დაჰყვეს და კახური ჭაჭის ნაცვლად, ბაგარიულ ლუღს გეახლებოდნენ, ხანამ 1988 წელს გორბაჩოვმა და რეიგანმა ხელი არ მოაწერეს ხელშეკრულებას ევროპაში საშუალო და მცირე რადიუსის მქონე რაკეტების

შემცირების შესახებ, რომლის თანახმადაც განადგურებულ იქნა **ТМП-С**-ს ტიპის 718 რაკეტა.

ურაკეტებოდ დარჩენილ 119-ე სარაკეტო ბრიგადას გერმანიაში აღარაფერი ესაქმებოდა და 1988 წელს ის „შობლიურ“ საგარეჯოს რაიონში, გომბორში დააბრუნეს.

გომბორში ბრიგადას ახალი შეიარაღება, რეალურად კი მორალურად და





რუსული Стриж-ი ავსტრიულ Glock-სა ჯობიაო(!?)

საგოლოოდ როგორი პისტოლები ჩანანსვლავს „პაპაროვს“
რუსეთის არმიის — „ჭილყვავი“ თუ „ნაგებლ“?

„არსენალის“ მარტის ნომერში ვცერდით, რომ რუსეთის არმიაში უკვე მოძველებული „მაკაროვების“ ჩანაცვლება იარაღების Грач-ებით (ქართულად ჭილყავის ნიშნავს) დაიწვეს. თითქოს გადაწყვეტილი იყო, რომ ეტაპობრივად სწორედ „ჭილყავები“ დაიკავებნენ „მაკაროვის“ ადგილს, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად „ჭილყავეს“ კონკურენტი გამოუჩნდა „ნაგებლას“ სახით.

ნამგალა ჩიტი რუსულად Стриж-ია და სწორედ ასე ჰქვია უახლეს რუსულ პისტოლეტს, რომლის რუსეთის არმიაში მიღებას ლობიერებს რუსი პოლიტიკოსების ერთი ნაწილი.

„რუსეთის არმია უახლეს მომავალში მიიღებს ახალ პისტოლეტ Стриж-ს, რომლებიც ჩანაცვლებენ „მაკაროვებს“, — განაცხადა რუსეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე დმიტრი როგოზინმა, რომელიც რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსსა და შეიარაღების შესყიდვის სა-



Стриж-ის დავრძელებულულიანი ვარიანტი გასაშლელი სავრდენი ფეხებითა და ოპტიკური სამიზნით



რუსეთის არმიის „მაკაროვებმა“ თავისი დრო მოკაშავეს

კითხვებს კურიერებს. ექსცენტრიკული როგოზინისგან (რომლის მამა სხვათა შორის თბილისის ძალიან კარგად იცნობს, რადგან წლების განმავლობაში თბილისის საუბიკო ქარხანასთან პქონდა საქმიანი ურთიერთობა) რუს სამხედროებს ბევრი რამ მოუთქმნიათ, მაგრამ უცბად, ხელის აღებით, სამი თვით ადრე შექმნილი პისტოლეტის მლიონობით გამოშვება მათთვისაც მოულოდნელი იყო.

როგოზინი უფრო შორსაც წავიდა, — „რუსული სტრიჯი“ ავსტრიულ Glock-საც სჯობს, — განაცხადა მან რუსულ მასშედიში. „გლოკის“ ჯობნა როგოზინის სინდისზე იყოს, მაგრამ

ახალი რუსული „ნამგალა ჩიტი“ მართლაც ბევრად უკეთესია, ვიდრე ტრადიციული რუსული პისტოლეტები, თუკინდ Грач-იც.

ეს არც არის გასაკვირი, რადგან პისტოლეტი მთლად რუსი კონსტრუქტორების შექმნილი როდია. ახალგაზრდა კომპანიამ, სახელად Arsenal Firearms-მა, რომლის სათავეშიც რუსი ოლიგარქი დმიტრი სტრეშინსკი და იტალიელი ჟურნალისტი ნიკოლა ბანდინი დგანან, თანამედროვე პისტოლეტის შექმნისთვის იტალიური და ავსტრიული გამოცდილება გამოიყენა.

პისტოლეტი მართლაც რეკორდულ ვადაში, რამდენიმე თვეში დამზადდა

და პირველად საერთაშორისო საიარაღო გამოფენა IWA-2012-ზე წარადგინეს ორი სახელით — Strike One-ი და Стриж-ი. გასაკებია, რომ იტალი-სურენოვანი დასახელების პისტოლეტი გათვლილია დასავლეთის იარაღის ბაზარზე, ხოლო Стриж-ი — რუსეთის ძალიან სტრუქტურების შესაიარაღებლად.

„სტრიჯი“ მართლაც პკაეს ფორმით ავსტრიულ „გლოკს“ — მასავით დახვეწილია (სხვა თუ არაფერი, გამოყენაზე გატანილი „სტრიჯის“ საჩვენებელი მოდელები იტალიაში „ტანფილიოს“ ცნობილ საიარაღო ქარხანაში იყო დამზადებული), თუმცა, მნიშვნელოვნად გამოირჩევა ორიგინალური კონსტრუქციით.

კონსტრუქტორების აზრით, მათ შეძლეს დულის ღერძის რაც შეიძლება დაბლა განთავსება მსროლელის ხელისგულთან, რითაც მსროლელს უკეთესად შეუძლია გასროლისას წარმოქმნილი უკუცემის გაკონტროლება და სწრაფსროლისას კარგი შედეგის ჩვენება (თუმცა „სტრიჯის“ სროლის ვიდეორგოლების ნახეისას ჩნდება ეჭვი, რომ მსროლელის ხელი მაინც მნიშვნელოვან უკუცემას იღებს გასროლისას, რაც აუცილებლად იმოქმედებს სროლის სისუსტეზე, განსაკუთრებით კი სწრაფსროლისას).

„სტრიჯის“ ორიგინალობა მისი ავტომატკის მოქმედებაშია. პისტოლეტის პოლიმერული ჩარჩო გაძლიერებულია ფოლადის ჩასადებებით. განსხვავებით სხვა ბევრი პისტოლეტისგან, რომლებიც ასვე იყენებენ გასროლის დროს მცირე გადაადგილებაზე დაფუძნებულ ავტომატკას, „სტრიჯის“ ლულა მკაცრად გრძობად გადაადგილება წინ და უკან, ყოველგვარი ბრუნვისა და გადაცურების გარეშე. ლულის საკვებთან შეკავშირება



იარიგინის Грач-ს სერიოზული კონკურენტი გამოიჩინდა...



ჩვენი ღონისძიება: Strike One/Стриж-ი ვაზნების გარეშე 750 კგ-ს იწონის. მისი საერთო სიგრძე 210 მმ-ია, ლულის — 128 მმ (შედარებისთვის — „სტენკინის“ საერთო სიგრძე 225 მმ-ს აღწევს, ლულის კი 140 მმ-ს). მჭიდში „პარაბელუმის“ 9 მმ კალიბრის 17 ვაზნა ეტევა. პისტოლეტი შეიძლება გადააწვოს 9X21 IMI, .357 SIG და .40SW ტიპის ვაზნების გამოსაყენებლადაც

სპეციალური ლათინური U-ს მაკავარი დეტალით ხდება. გასროლის შემდეგ ლულა და საკეტი ერთობლივად იწვევენ უკან გადაადგილებას, U-ს მაკავარი დეტალი აიძულებს საკეტს მოსცილდეს ლულას. უკან მცირე მანძილზე გადაადგილებული ლულა ევახება პისტოლეტის ჩარჩოს დეტალს, ხოლო საკეტი ინერციით აგრძელებს უკან გადაადგილებას, რომლის დროსაც ხდება გასროლილი ვაზნის მასის ექსტრაქცია. დამარბუნებელი ზამბარა საკეტს წინ წყვეა, წინ მოძრაობისას საკეტის მექანიზმი მჭიდთან მორიგ ვაზნას იღებს და ლულაში გზავნის, ამასთან, წინ უბიძგებს თავად ლულას.

კონსტრუქტორებს გათვლილი აქვთ კალიბრის ცვლა, რისთვისაც 9-დან 10 მმ-მდე სხვადასხვა კალიბრზე გათვლილი „ლულა-საკეტი-მჭიდის“ კომპლექტის ცვლით უნივერსალურ პისტოლეტს მიიღებენ.

„სტრეიტი“ გამოირჩევა დიდი მჭიდიო, რომელშიც 9 მმ კალიბრის 17 ვაზნა ორრიგად თავსდება, თუმცა, პისტოლეტის სასროლი მექანიზმისთვის ვაზნების მაწოდება მჭიდიდან ერთრიგად ხორციელდება. დაეგმილია ვაზრდილი ტყედიობის (30 ვაზნა) მჭიდის გამოყენებაც, რომელიც უპირანი იქნება „სტრეიტის“ ავტომატური ვერსიით მსროლელი ვარიანტისთვის.

განსხვავებით დასვლეთის საიარაღო ბაზრისთვის განკუთვნილი Strike One-სგან, რუსული ვარიანტი Стриж-ი, გათვლილი იქნება მხოლოდ „პარაბელუმის“ 9X19 მ კალიბრზე, თუმცა მას იმავე კალიბრის უფრო ძლიერი რუსული ვაზნების გამოყენებაც შეუძლება. „პარაბელუმის“ პისტოლეტის კალიბრი მალზე პოპულარულია მთელ მსოფლიოში, მაგრამ საბჭოთა კავშირში მას იგნორირებას უკეთებდნენ. მხოლოდ ახლახან აღიარეს რუსმა სამხედროებმა, რომ მათი „მაკაროვის“ 9 მმ-იან ვაზნებს პერსპექტივა აღად აქვთ და ისინიც „პარაბელუმის“ ვაზნას ირჩევენ. სურვილი კარ-

გია, მაგრამ ახალ ვაზნაზე გადასვლა მთელი შეიარაღებული ძალების დონეზე მალზე ძვირად ღირებული ჩანაფიქრია, რომლის განხორციელება დიდ დროს მოითხოვს.

რუსი სამხედრო ექსპერტების ნაწილი კრიტიკულად არის განწყობილი Стриж-ების ასეთი დანქარებული ტემპით რუსეთის არმიის შეიარაღებაში მიღებაზე და მიანჩნია, რომ პისტოლეტმა ჯერ გამოცდა უნდა გაიაროს, მხოლოდ შემდეგ გასცეს კომპეტენტურმა კომისიამ დადებითი დასკვნა და არა როგორცინა და მისთანების ახირებებს მისდოს.

ირაკლი კლავაშვილი

**პისტოლეტის
არასრული დაშლა**





ՀԱՅԿԻՍՏԱՆ



F 1557
2012



STRIKE ONE ՏՐԻՆՋ